პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი,
ტელეფონი 10—49

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შელავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

სამშაბათი 14 ოქტომბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 235 (1090)

დღიური

— გარდაიცვალა ანატოლ ფრანსი.

— კელნში (გერმანიაშია) გაიხსნა კომუნისტ-დეპუტატების საერთაშორისო კონფერენცია.

— გერმანიის პოლიციამ ამხ. კაშენს აუკრძალა სიტყვის წარმოთქმა.

— პარიზის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი განაგრძობენ ბრძოლას ჯამაგირის მომატებისათვის.

— ჩინეთში გრძელდება ბრძოლა ორივე მხარეთა შორის.

15 ოქტომბერს ქალაქ თბილისში, რუსთაველის თეატრში, საღამოს 6 ს.

გაიხსნება

„რევმედასს“-ის სრულიად საქართველოს

პირველი კონფერენცია

(რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება)

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. „რევმედასს“-ის აღმასკომის წარმომადგენლის მოხსენება.
2. „რევმედასს“-ის სრულ. საქართვ. განყოფილ. ანგარიში.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. „რევმედასს“-ის სრ. საქართვ. განყოფილების უახლოესი ამოცანები, ორგანიზაციულ და სააგიტ.-საპროპაგანდო დარგში.
5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
6. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციაზე მოწვეულია პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

კონფერენციის საზეიმო გახსნაზე მოწვეული არიან აგრეთვე „რევმედასს“-ის თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრები.

„რევმედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილების გამგეობა.

6. 11 2—1

საბჭოთა ქვედა აპარატების გაჯანსაღებისათვის

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამას წინად დასრულებულმა ცეკას პლენუმმა საჭიროდ სცნო „მთელი პარტიული — საბჭოთა მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა სოფლად“.

პირველ ადგილას აქ უეჭველად დგას საბჭოთა ქვედა აპარატების გაუმჯობესება-გაჯანსაღების საკითხი. გლეხობა პირველ ყოვლისა მათი საშუალებით ეცნობა საბჭოთა ხელისუფლებას, მათი შემადგენლობის და მუშაობის ხასიათის მიხედვით ადგენს თავის შეხედულებას საბჭოთა წყობილების შესახებ.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვედა საბჭოთა აპარატის სათანადოთ მოწყობას, მისი მუშაობის დაყენებას თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

საბჭოთა აპარატი უნდა იყოს ხალხთან დაახლოვებული, ეს თავდებია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცისა ადგილობრივ. ამითვე უზრუნველყოფილი იქნება გლეხობის მრავალმხრივი მოთხოვნილებათა უფრო ადვილად დაკმაყოფილება.

ამ აზრით უაღრესად მნიშვნელოვანია ცეკას პლენუმის დადგენილება რაიონების სისტემის გაუქმების და თემების სისტემის შემოღების შესახებ.

პრაქტიკამ დაამტკიცა რაიონების სისტემის უვარგისობა. სოფლებსა და თემებში ხელისუფლების გავლენა შესუსტდა. ხალხის მტრებს მეტი საშუალება მიეცა ბნელი მუშაობისათვის. ამასთან გლეხობას ყოველგვარ მისთვის ასე თუ ისე მნიშვნელოვან საქმეების გამო (სხვადასხვა მოწმობების აღება, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია და სხ.) უხდებოდა რაიონებში წასვლა, რომელნიც დაშორებული იყვნენ მისგან საკმაოდ დიდი მანძილით.

თემების სისტემის შემოღებით ყველა ამ უარყოფითი მხარეებს ბოლო ელება. გლეხებს, ასე ვთქვათ, თავის კარზე ეყოლება საკმაო უფლებებით აღჭურვილი საბჭოთა ორგანო, რომელსაც შეუძლია მიმართოს მან საჭიროების მიხედვით ყოველ დროს.

თემური სისტემის აღდგენით საბჭოების მუშაობა ადგილობრივ გამოცოცხლდება. კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანო თემის აღმასკომის სახით თავისთავად მეტ საფუძველს იძლევა წარმატებითი მუშაობისათვის; ესევე გარემოება ხელს შეუწყობს საბჭოს დეპუტატების და მთელი უპარტიო გლეხთა მასსების რაც შეიძლება მაქსიმალურად ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობაში, რაც შეადგენს პარტიის უმაღლეს ორგანოების და ცეკას უკანასკნელი პლენუმის ვადაჭრილ დირექტივს.

მხოლოდ აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვით საბჭოთა აპარატის შემადგენლობას, დაწყებული აღმასკომის წევრებით და გათავებული მილიციელით.

საბჭოთა აპარატი, სხვათა შორის, იმით განირჩევა ბურჟუაზიულ და მენშევიკურ სახელმწიფო აპარატისაგან, რომ, წინააღმდეგ უკანასკნელისა, რომელიც დაპირდაპირებულია ხალხის მიმართ და მაზე ზევით მდგომი ორგანოა,—პირველი, ე. ი. საბჭოთა აპარატი ხალხის ნებისყოფის გამომხატველი და აღმასრულებელი, მისი მსახური დაწესებულებაა.

ვისაც ეს ანბანური ჭეშმარიტება ვერ შეუგნია, ის, თავის თავად ცხადია, არ შეიძლება იყოს საბჭოთა თანამდებობაზე, მით უმეტეს ჩვენს პარტიაში.

ამ თვალსაზრისითაც უნდა მოხდეს საბჭოთა აპარატების შემადგენლობის შემოწმება.

საბჭოთა ორგანოებში უნდა მუშაობდნენ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლეს პარტიულ-საბჭოთა ორგანოების პოლიტიკის ნამდვილად გამტარებელი ელემენტები და გლეხობასთან დაახლოვებულნი, მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელნი, მისი ინტერესების და უფლებების დამცველნი.

ჩვენ განვიცდით საბჭოთა მუშაკების ნაკლებობას. მით უფრო საგრძნობი იქნება ეს ეხლა, თემების სისტემის გატარების შემდეგ, როცა თემებს გაცილებით მეტი მუშაკები დასჭირდებათ, ვინემ დღემდე. აქედან გამოსავალი ნაჩვენებია ცეკას პლენუმის მიერ, რომლის რეზოლიუციაში ვკითხულობთ: „მიღებულ უნდა იქნას [illegible] ჩასაბმელად სოფლის როგორც საბჭოებში, ისე ადმინისტრატიულ საბჭოთა თანამდებობაზე რაიონებში, თემებში და სოფლად“.

გლეხობის პოლიტიკური შეგნება და აქტივობა ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა, და ეს გარემოება სავსებით უნდა იქნას გამოყენებული. პატიოსანი და მოწინავე მშრომელი გლეხობა უნდა წამოვაყენოთ როგორც საბჭოებში, ისე საბჭოთა პასუხისმგებელ თანამდებობებზე. მათი საშუალებით ხელისუფლება უფრო დაუავშირდება მთელ უპარტიო გლეხთა მასსას.

ამასთან პლენუმმა დაადგინა; „...სამაზრო და უმთავრესად სათემო აპარატების გაძლიერების მიზნით, უახლოესი ორი თვის განმავლობაში ცენტრიდან სოფელში გადაგზავნილი უნდა იქნეს 200 მუშაკი“.

ეს მნიშვნელოვანი დადგენილებაა. 200 შეგნებული და გამოცდილი ამხანაგის მიშველიება სოფლისათვის უეჭველად დიდათ შეუწყობს ხელს ადგილობრივი აპარატების გაჯანსაღებას და მათი მუშაობის გამოცოცხლებას.

ოღონდ საჭიროა სოფლად გასაგზავნ მუშაკების სიფრთხილით შერჩევა. უნდა გავგზავნოთ ისეთი პირები, რომელთაც შეეძლებათ ალღოს აღება გლეხობის ფსიქოლოგიისათვის და შესწევთ უნარი შეუფარდონ თავიანთი მოქმედება სოფლის თავისებურ პირობებს.

საბჭოთა აპარატს სოფლად უეჭველად აქვს ნაკლულევანებანი. აქა-იქ შეპარული არიან გლეხობისათვის მიუღებელი ელემენტებიც. ეს ნაკლულევანებანი უნდა აღვმოფხრათ ძირფესვიანად. მავნე ელემენტები უნდა აღმოვაჩინოთ და გავაძევოთ.

ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ კერძოთ პროვინციელ კორესპონდენტებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მიაწოდონ პრესას საჭირო ცნობები.

ვიმეორებთ, სოფლის აპარატის გაჯანსაღება ჩვენი ერთი ძირითადი ამოცანათაგანია, რომლის გადაჭრას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

საფინანსო კურსები *)

რამოდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილი ამ დღეებში გაემგზავრა საფინანსო კურსებზე მოსკოვში, სადაც ცხრა თვის განმავლობაში მათ გააცნობენ პოლიტიკურ ეკონომიას, სტატისტიკას, საფინანსო მეცნიერებას, ბანკის საქმეების წარმოებას და სხვ. ცხრა თვეში ყველა ამ დარგებში, რასაკვირველია, მხოლოდ ელემენტარული ცოდნის შეძენა შეიძლება. ასეთი ცოდნაც სასარგებლო და საჭიროა, მაგრამ მოსკოვში გამგზავრება და იქ ცხოვრება ზედმეტს და დიდ ხარჯებს იწვევს და ამიტომ თუ საქართველოში შეიძლება საფინანსო კურსების მოწყობა, მაშინ მიზანშეწონილობა მოითხოვს აქ მოგვარდეს ეს საქმე.

ასეთი კურსების აქ მოწყობა, რასაკვირველია, შეიძლება და აქ მოწყობილი კურსებით დიდძალი ხალხი ისარგებლებს. ჩვენ გვჭირია მრავალი ასეული ფინანსიურად მომზადებული მუშაკი და დღეს ასეთი პირთა რიცხვი ძალიან მცირეა. იშვიათ მაზრაში შეხვდებით ოდნავათ მაინც ფინანსიურად მომზადებულ პირებს. მაზრების საფინანსო-საეკონომიო დარგებში ძალიან იშვიათად დაინახავთ ისეთ პირებს, რომელთაც საფინანსო-საეკონომიო მეცნიერებაში ელემენტარული ცოდნა ჰქონდეს. ცენტრალურ რესპუბლიკანურ თანაბარ ორგანოებშიც ძალიან ცოტა მოიძებნება თეორეტიულად ოდნავად მომზადებული მოხელე. ზოგიერთ ყოფილ სტუდენტებს—დღევანდელ მოხელეებს—ამ დარგში ელემენტარული კურსიც არ გაუვლია; იმათ რიცხვშიც, რომელთაც იურიდიული ან ეკონომიური ფაკულტეტი დაუმთავრებია, ძალიან ცოტაა ისეთნი, რომელნიც საფინანსო თეორიებში და პრობლემებში ერკვევოდეს. აშკარაა—ასეთი პირები სხვებს ხელმძღვანელობას ვერ გაუწევენ. ზოგიერთს აქვს შეთვისებული ან ზოგიერთი ითვისებს საფინანსო სფეროში მუშაობის არსებულ ტეხნიკას, მაგრამ ცოტათი პასუხისმგებელ მუშაკთათვის ეს საკმაო არაა: ტეხნიკა იცვლება, იცვლება პრინციპები, და ფინანსიურად მოუმზადებელი მოხელე ამ ცვლილებების მიზეზებში ვერ ერკვევა და, რასაკვირველია, ვერავის ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს.

ასეთია დღევანდელი სინამდვილე, და ასეთი ძალებით ქვეყნის მეურნეობის მოწყობა, გაძღოლა აშკარად შეუძლებელია. ჩვენ არა ვართ ფანტაზიორები და კ. მარქსთან ერთად უნდა აღვიაროთ, რომ უმეცრებას კაცობრიობა არაოდეს არ უხსნია და ვერც იხსნის და ამიტომ ჩვენ ყოველივე საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენ დღევანდელი და მომავალი თანამშრომლებს ცოდნის შეძენა გაუადვილოთ. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო პირობების შექმნა ჩვენ შეგვიძლია აქ, ჩვენს დედა-ქალაქში.

ეს საქმე ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტის და უნივერსიტეტის გარეშე მყოფ გამოსადეგ ძალების საშუალებით და ახალი კათედრების დაარსებით.

არაა საკმარისი ტრადიციული ფინანსიური მეცნიერების კურსი. უნივერსიტეტი არც წარსულში ამზადებდა და არც ეხლა ამზადებს საფინანსო მეურნეობისათვის გამოსადეგ მუშაკებს. ამ დებულებას არ არღვევს ის გარემოება, რომ თითო-ოროლა პირი, განსაკუთრებული ნიჭის და უნარის მქონე, თავისი პირადი ინიციატივით იკაფავენ გზას და იძენენ საჭირო ცოდნას ფინანსიურ მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ეს მიღწევა ხდება უნივერსიტეტის ზეგავლენის გარეშე. ჩვენ კი გვინდა შიგ უნივერსიტეტში იყოს ისეთი პირობები, რომელიც ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანს შეაძლებინებს ფინანსიურ მეცნიერების მთავარ დარგებში მიიღოს საჭირო ცოდნა, რომელსაც ის შემდეგ გამოიყენებს, როგორც პრაქტიკული მომუშავე, ქვეყნის საფინანსო-საეკონომიო მეურნეობაში. ასეთი ცოდნის შეძენისათვის საჭიროა უნივერსიტეტში იყოს ისეთი კათედრები, რომელთა საშუალებით მსმენელი გაეცნობა სათანადო საგნებს; მაგრამ ესეც არაა საკმარისი. უნივერსიტეტში უნდა გაჩაღდეს პრაქტიკული მუშაობა სემინარიებში; სწავლის ცენტრი აქ უნდა იყოს და სტუდენტების თვითმოქმედების უნარი აქ უნდა განვითარდეს. ამ პრაქტიკულ მუშაობაში, სადაც თეორიას და ფრაზას სხეული ესხმება, უმთავრესად ჩვენი ფინანსიურ და ეკონომიურ ცხოვრებიდან უნდა იქნეს მასალა ამოღებული. ამნაირად დაყენებული სწავლა ყოველმხრივ მეტ სარგებლობას, მეტ ნაყოფს მოუტანს სტუდენტს და ქვეყანას. ამნაირ პირობებში უნივერსიტეტის დამთავრება რესპუბლიკას გაუმრავლებს ისეთ მუშაკებს, რომელნიც ადვილად გაერკვევიან ჩვენი ცხოვრების მოვლენებში, რადგან სკოლის დახმარებით მათ აზროვნებაში თეორია ჩვენი სინამდვილის პრაქტიკასთან შედუღებული იქნება.

აქ აღნიშნული მოსაზრებებით ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ საქართველოს უნივერსიტეტში იყოს ასეთი კათედრები:

1. ფინანსიური მეცნიერება და საფინანსო აპარატების საერთო კურსი. ეს იქნება ფინანსიური ენციკლოპედია, შესავალი, აუცილებელი ეტაპი, ურომლისოდ ფინანსიური მეცნიერების, საფინანსო პრაქტიკის სხვადასხვა დარგის შესწავლა არ შეიძლება.
2. გადასახადების თეორიები და პრაქტიკა;
3. სახელმწიფოს არასაგადასახადო წყაროები და სახელმწიფო მეურნეობის თეორია და პრაქტიკა;
4. საბიუჯეტო უფლება, საბიუჯეტო პრაქტიკა, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები;
5. ადგილობრივი ფინანსები და ადგილობრივი მეურნეობა;
6. კრედიტი და ფულის პრობლემები;
7. საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური ვითარება და პრობლემები;
8. კოოპერაცია;
9. საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია და
10. ბუხჰალტერია.

პოლიტიკური ეკონომიის და სტატისტიკის კურსები უნივერსიტეტში უკვე არის.

ზევით ჩამოთვლილ საგნებიდან ზოგიერთის ერთმეორესთან შეთვისება და ერთს კურსში მოთავსება შეიძლება. ეს ლექტორის ცოდნასა და უნარზეა დამოკიდებული, მაგრამ თითოეულ საგანს უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება და თითოეულ საგნის ფარგლებში ცალკე უნდა წარმოიბდეს პრაქტიკული მუშაობა, და, რასაკვირველია, დაუშვებელია, რომ ერთი და იგივე პირი ოთხი და ხუთი სხვადასხვა ლექციებს კითხულობდეს. ასეთი მეცნიერი არსად არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მაქსიმე კოვალევსკის ტიპის მეცნიერებს. მაგრამ ასეთი მეცნიერები მსოფლიოში მცირე გამონაკლისს შეადგენენ. თუ დღეს ჩვეულებრივი ლექტორები მრავალნი, ერთმეორესაგან დამოუკიდებელი ლექციების კითხვას ეპოტინებიან, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ისინი თავის მოვალეობას სერიოზული თვალით არ უცქერიან და თითოეულ დარგში თითო სახელმძღვანელოს ლექვით კმაყოფილდებიან. ასეთ მუშაობას უნივერსიტეტში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

[illegible] განაწილდეს ზევით ჩამოთვლილი საგნები ოთხ წლის მუშაობის დროს.

პოპულიარული საერთო კურსი ფინანსიური მეცნიერების (1) უნდა იქნეს გავლილი პირველ წელს; ამავე დროს უნივერსიტეტმა მსმენელი უნდა გააცნოს საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიას, (9) კოოპერაციას (8) და შეასწავლოს მას ბუხჰალტერია (10).

მეორე წელს სახელმწიფოს არასაგადასახადო წყაროები, სახელმწიფო მეურნეობა. თეორია და პრაქტიკა (3) და გადასახადების თეორია და პრაქტიკა (2).

მესამე წელს—საბიუჯეტო უფლება, საბუჯეტო პრაქტიკა; სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები (4) და კრედიტი და ფულის პრობლემები (6) და

მეოთხე წელს—ადგილობრივი ფინანსები და ადგილობრივი მეურნეობა (5) და საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური ვითარება და პრობლემები.

ამნაირად, უნივერსიტეტი რესპუბლიკას მოუმზადებს გამოსადეგ მუშაკებს, რომელნიც თეორიულად შეიგნებენ საფინანსო-საეკონომიო ამოცანებს და პრაქტიკულად შესძლებენ ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვების დამუშავებას. ასეთნაირად დაყენებული უნივერსიტეტი თემს, მაზრას და ცენტრს ყოველგვარ საფინანსო-საეკონომიო დარგში მისცემს შეგნებულ, სასარგებლო მუშაკს. მაშინ ყველა საფინანსო-საეკონომიო დარგში მხოლოდ მცოდნე პირები იქნებიან და ეკონომიურად და ფინანსიურად უვიცი ვერ შესძლებს დაიკავოს ფინანსიურად და ეკონომიურად მომზადებულ პირის ადგილი, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება დღეს.

მაგრამ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე ხსენებულ დარგებში დღეს მომუშავეთა უმრავლესობაზედაც. მათ უნდა მიეცეს საშუალება მოისმინონ ზოგიერთი კურსები უნივერსიტეტში სტუდენტებთან ერთად ან მათთვის უნდა გაიხსნას იქვე პარალელური კურსები. ამათთვის საჭიროა შემდეგი საგნების მოსმენა.

1. ფინანსიური მეცნიერების და საფინანსო აპარატის საერთო კურსი.
2. გადასახადების თეორიები და პრაქტიკა.
3. სახელმწიფოს არა სავადასახადო წყაროები და სახელმწიფო მეურნეობა.
4. საბიუჯეტო უფლება და საბიუჯეტო პრაქტიკა. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები და
5. ადგილობრივი ფინანსები და ადგილობრივი მეურნეობა. შეიძლება, როგორც უკიდურესი მინიმუმი, ჯერ მიაწოდოს მოხელეებს უნივერსიტეტმა პირველი და მეორე საგანი. ეს მინიმუმია.

დასმულ საკითხების დადებითად გადაჭრა უკიდურესად საწრაფოა და მათი სწრაფად გადაწყვეტის საშუალებაც არის. ამ საქმის მოწყობა დიდ ხარჯსაც არ გამოიწვევს. ამიტომ იგი უნდა მოგვარდეს რაც შეიძლება დაჩქარებით. საფინანსო კურსები საქართველოს უნივერსიტეტში დაუყონებლივ უნდა მოეწყოს.

დ. თ.

მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა საარჩევნო მანიფესტი

ბანკების ნაციონალიზაცია.—ინდოეთის ფართე ავტონომია.—პოლიტიკური დათმობები ეგვიპტეს.—საზოგადოებრივი სამუშაო.—სახელმწიფო სასურსათო ორგანო.

კონსერვატორული პრესა მოითხოვს ბლოკის შეკვრას ლიბერალებთან.—საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის პრესა იცავს მაკდონალდის პოლიტიკას.—ამერიკის ბანკირები აღტაცებულნი არიან მაკდონალდის დამარცხებით.—მუშათა პარტია გამოდის ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცების ლოზუნგით.

„ხელები შორს საბჭოთა რესპუბლიკებისაგან“

მუშათა პარტიის მანიფესტი

ლონდონი. 12 ოქტომბერი. „დეილ ჰერალდში“ გამოქვეყნებულია ინგლისის მუშათა პარტიის საარჩევნო მანიფესტი, რომელშიაც პარტია აშუქებს თავის პროგრამას. **პროგრამით, სხვათაშორის გათვალისწინებულია ინგლისის ბანკის ნაციონალიზაცია, სურსათის საკითხის მოსაწესრიგებლად სახელმწიფოებრივ ორგანოს დაარსება, ინდოეთის ფართო ავტონომია, მთელი რიგი პოლიტიკურ დათმობათა ევგიპტესათვის და საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობა უმუშევართათვის.** იმ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, რომელმაც გამოიწვია მუშათა მთავრობის დამარცხება, მანიფესტში ნათქვამია, რომ მთავრობა დამარცხდა სხვა პარტიების გაერთიანებულ გალაშქრების გამო, ეხება რა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხში მანიფესტი ილაშქრებს კონსერვატორების და ლიბერალების განცხადების წინააღმდეგ და ამბობს: „რუსეთთან დადებული ხელშეკრულება მატებს ინგლისს თევზის მრეწველობას ათას კვადრატიულ მილიონ თევზის საჭერად და ახალ ბაზრებს უხსნის ინგლისის მანუფაქტურას და ნახშირს.

სესხის შესახებ მანიფესტი ამბობს რომ მხოლოდ მაშინ, როცა ინგლისელი მოქალაქე მიიღებს დაკმაყოფილებას რუსეთში მიყენებულ ზარალისათვის, მხოლოდ მაშინ დაიწყება მოლაპარაკება ახალ ხელშეკრულების შესახებ. ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება კერძო ფინანსისტემის მიერ რუსეთისათვის სესხის მიცემა, რომლის პროცენტები უზრუნველყოფილი იქნება იმავე ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება შევა ძალაში მხოლოდ მაშინ, როცა თემთა პალატა დაამტკიცებს მას.

მუშათა მთავრობა ხელს უწყობდა მჭიდრო კავშირის დამყარებას მეტროპოლიასა და ახალშენებს შორის, რასაც საფუძვლად ედო არა იმპერიალისტური და სხვა ასეთი მოსაზრებანი, არამედ ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთა საერთო ინტერესების შეგნება.

საფრანგეთსა და გერმანიასთან დამოკიდებულება, რომელიც საშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ძველი მთავრობის დროს, გაუმჯობესებულ იქნა. ინგლის და საფრანგეთს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ჟენავაში, სადაც განხილული იქნა საკითხი არბიტრაჟისა და განიარაღების შესახებ. **მუშათა მთავრობამ გადაჭრით სთქვა უარი გამოერიცხა საერთო მშვიდობიანობის გეგმიდან რუსეთის ხალხი, რომელთანაც საჭიროა ვაჭრობის განახლება როგორც უმუშევართა, ისე მთელი ქვეყნის ინტერესებისათვის.**

ბოლოს მანიფესტი აღნიშნავს პირველ მუშათა ბიუჯეტის და მთელ რიგ სხვა საკანონმდებლო ზომების წარმატებას და აღნუსხავს იმ ღონისძიებებს, რომელიც განზრახული იყო, მაგრამ ვერ იქნა განხორციელებული პოლიტიკურ კრიზისის გამო.

კომპარტიის ცეკას პლენუმი

ლონდონი. 12 ოქტ. ლონდონის „მუშათა სახლში“ გაიხსნა ინგლისის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მეორე საჯარო სესია. დღის წესრიგშია: 1) მუშათა პარტიის და კომპარტიის კონფერენცია, 2) საერთო პოლიტიკური მდგომარეობა და მომავალი საპარლამენტო არჩევნები, 3) ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, 4) ახალი წევრების მიღება.

სხდომის გახსნის შემდეგ სესიამ გაუგზავნა თანაგრძნობის დეპეშა გერმანიის და პოლონეთის კომპარტიებს, რომლებიც იბრძვიან კაპიტალისტურ კლასიურ იუსტიციის და თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

კემპბელმა გაკეთა მოხსენება მუშათა პარტიის კონფერენციის შესახებ. კემპბელმა განაცხადა, რომ მუშათა მთავრობის ყველა მინისტრებმა კონფერენციის გახსნამდე ინახულეს სხვადასხვა პროფკავშირების დელეგაციები, რათა მიეღოთ დადგენილება მუშათა პარტიაში კომუნისტების მიღების წინააღმდეგ, **რომ მიუხედავათ ამისა, კომპარტიის გავლენა სხვადასხვა ადგილებში სრულიადაც არ შესუსტებულა.**

მაღაროს მუშათა დელეგაცია, რომელიც არჩეული იყო 700.000 ხმით, კენჭის ყრის დროს გაიყო: 74 დელეგატმა მხარი დაუჭირა კომპარტიის გამორიცხვას, 52 დელეგატმა წინააღმდეგ მისცა ხმა. **კონფერენციის სხდომებზე კემპბელთან მიდიოდენ მუშათა პარტიის საოლქო ორგანიზაციების დელეგატები და ბოდიშს იხდიდენ იმისათვის, რომ ხმა მისცეს კომპარტიის გამორიცხვას, რადგან ასეთი იყო მათი მანდატი, რომელიც მიღებული იყო ზოგჯერ 2 ხმის უმრავლესობით.**

შეეხო რა პარტიულ ტაქტიკის საკითხს, კემპბელმა აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შემოიტანა შემდეგი წინადადება: იქ, სადაც კომპარტიის წევრები დასახელებული იქნებიან პარლამენტის კანდიდატებათ მუშათა პარტიას ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ, მათ უნდა შექმნან სპეციალური მუშათა კომიტეტები მათი კანდიდატებისათვის მხარის დაჭერაზე; იქ, სადაც მუშათა პარტიის ორგანიზაციები არ წამოაყენებენ კანდიდატებათ კომუნისტებს, იმათ უნდა წამოაყენონ საკუთარი კანდიდატები, თუ იმედი ექნებათ ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების დახმარების. ყოველმა კომუნისტმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მის გამორიცხვას და მოითხოვოს საკითხის გადაჭრა ადგილობრივ ორგანიზაციების საერთო კრებებზე.

კომპარტიის ლონდონის ორგანიზაციის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კამათში ერთ-ერთი ორატიარი მოითხოვდა მუშათა პარტიასთან ყოველგვარ კავშირის გაწყვეტას, **რათა კომპარტიის მთელ ყურადღება მიაპყრონ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნას.**

გალახერმა გააკეთა მოხსენება პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, და აღნიშნა, რომ **ინგლისის მუშები სცდილობდენ გამოეყენებიათ მუშათა პარტია კაპიტალიზმის წინააღმდეგ,** მაგრამ მაკდონალდის მთავრობამ დაამტკიცა სრული ერთგულება კაპიტალიზმის ინტერესებისადმი. მუშები კომუნისტების საშუალებით გავლენას ახდენდენ მუშათა მთავრობაზე და მოითხოვდენ, რათა მას გადაედგა ნაბიჯები თავის სურვილის წინააღმდეგ. ამან უკმაყოფილება გამოიწვია კაპიტალისტებს შორის.

შეეხო რა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ერთ-ერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ მაკდონალდი საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს იზიარებდა კაპიტალისტების თვალსაზრისს. მუშებმა მხარი უნდა დაუჭირონ ხელშეკრულებას, რადგან კაპიტალისტები იბრძვიან მის წინააღმდეგ.

კანტმა განაცხადა, რომ სექტემბერში პარტიაში ჩაეწერა 1.000-დე ახალი წევრი.

ბელლმა გააკეთა მოხსენება კელნის კომუნისტ-დეპუტატების საერთაშორისო კონფერენციის შესახებ.

სესიის დახურვის დროს ინგლისის კომპარტიის მდივანმა აღნიშნა, რომ ამ კონფერენციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, **რომ პარტია თანდათან ძლიერდება და ჩქარა გადაიქცევა ნამდვილ კომპარტიათ.**

კონსერვატორების პოზიცია

ლონდონი, 12 ოქტ. კონსერვატიული პრესა ერთსულოვნად მოითხოვს ლიბერალებთან შეთანხმებას, **რათა გაერთიანებული ბრძოლა აწარმოვონ მუშათა პარტიის წინააღმდეგ მომავალ არჩევნების დროს.** ლიბერალური გაზეთები ჯერ-ჯერობით არაფერს სწერენ ამის შესახებ. სხვადასხვა საარჩევნო ოლქებიდან იტყობინებიან, რომ სწარმოებს მოლაპარაკება ადგილობრივ ბლოკის შესაქმნელათ ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის.

კონსერვატიული პარტიის პირველი საარჩევნო მანიფესტი აღნიშნავს, რომ მაკდონალდმა უკიდურეს ელემენტების ზეგავლენით დასდო საბჭოთა მთავრობასთან ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის სესხს ინგლისში. მანიფესტში ნათქვამია, მთავრობამ ვერ გადასჭრა უმუშევრობის საკითხი, რომელიც ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიაც იყო წასულ წელს; მთავრობამ დაუფიქრებლად გააუქმა საბაჟო გადასახადები, რითაც ზიანი მიაყენა ინგლისის ვაჭრობას.

ლიბერალების მანიფესტი

ლონდონი. 12 ოქტ. ლიბერალების საარჩევნო მანიფესტში ნათქვამია, რომ მაკდონალდმა მოახერხა პარლამენტის დათხოვნა იმ მიზნით, რომ პარლამენტს არ გაეკიცხა „უაზრო“ წინადადება საბჭოთა კავშირისათვის სესხის უზრუნველყოფის შესახებ. მანიფესტში ნათქვამია, რომ ლიბერალები წინააღმდეგი არიან საბჭოთა კავშირისათვის სესხის უზრუნველყოფის. შემდეგ მანიფესტი მოითხოვს სახალხო განათლების რეფორმას, ემხრობა თავისუფალ ვაჭრობას და მოუწოდებს თანამშრომლობისაკენ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის.

მუშათა პარტიის ლოზუნგები

ლონდონი, 12 ოქტ. მუშათა პარტიის საარჩევნო მანიფესტში, რომელიც აღნიშნავს მუშათა მთავრობის გამარჯვებას საგარეო პოლიტიკაში, ნათქვამია, რომ მუშათა მთავრობამ უარი სთქვა გამორიცხოს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობიდან, რადგან ფიქრობს, რომ **საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განახლება საჭიროა უმუშევრობის შესამცირებლათ და ინგლისის მრეწველობის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.**

მანიფესტი მოითხოვს სხვა და სხვა სოციალურ რეფორმების გატარებას; **მათ შორის სამთომადნო წარმოებათ ნაციონალიზაციას მეპატრონეთა სამართლიანად დაკმაყოფილებით.**

მანიფესტი არაფერს არ ამბობს არც კემპბელის წინააღმდეგ დევნის შეწყვეტაზე და არც კაპიტალის დაბეგვრაზე სამხედრო ვალების დასაფარავად, რაც შეადგენდა მუშათა პარტიის პროგრამის მთავარ მუხლს წარსულ არჩევნებში.

ამერიკის ბანკირების სიხარული

ნიუ-იორკი 12 ოქტომბერი. ვაშინგტონის პოლიტიკური წრეების აზრით, მაკდონალდის მთავრობის დამარცხება ცუდ გავლენას იქონიებს ლაფოლეტის საარჩევნო კამპანიაზე, რომელსაც ერთგვარი კავშირი ჰქონდა ერრიოსა და მაკდონალდის გამარჯვებასთან საფრანგეთსა და ინგლისში.

რაც შეეხება დოუესის გეგმას, ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ ინგლისის კრიზისმა სერიოზული გავლენა არ უნდა იქონიოს მის განხორციელებაზე.

ამერიკის პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს მუშათა მთავრობის „დიდ დამსახურებას“, გარდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა, რომელსაც პრესა უწოდებს მაკდონალდის მთავრობის დიდ შეცდომას.

დამახასიათებელია ის, რომ თვით უკიდურესი კონსერვატიული გაზეთებიც, მაგალითად „ხერ“, ინგლისის პირველ მუშათა მთავრობის მოღვაწეობას ძალიან ნაყოფიერად სთვლიან.

„ნიუ-იორკ ტაიმს“ მოწინავე წერილში,—„საბჭოთა იმედების გაცრუება“ აღნიშნავს, რომ მაკდონალდის დამარცხება ნიშნავს საბჭოთა კავშირისათვის ინგლისის მიერ **სესხის მიცემის ჩაშლას,** რაც ჰქმნის სერიოზულ დაბრკოლებებს **საბჭოთა** მთავრობისათვის. ემყარება რა „პრაგერ ტაგებლატ“-ის მოსაზრებებს, გაზეთი შავი ფერებით ხატავს საბჭოთა კავშირის მდგომარეობას, მიუთითებს სიმშილობაზე და უთანხმოებაზე კომუნისტური პარტიის შიგნით. „ნიუ-იორკ ტაიმს“ ამტკიცებს, რომ სესხის ჩაშლა იქნება საბჭოთა კავშირის პრესტიჟის დაცემა უცხოეთში.

მაკდონალდს იცავენ

პარიზი, 12 ოქტ. ერბეტი, რომელიც, როგორც სჩანს, გამოხატავს საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის აზრს, „ენფორმასიონ“-ში სწერს, რომ კონსერვატორების და ლიბერალების გალაშქრება მაკდონალდის წინააღმდეგ არ არის სამართლიანი, **ვინაიდან ამ მთავრობას არ გამოუჩენია რევოლიუციონერობა შინაური პოლიტიკის საკითხებში,** ის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხებსაცა. შემდეგ ერბეტი აღნიშნავს, რომ ინგლისის იმპერიას ცოტა ჰყავდა ისეთი მთავრობა, რომელსაც ასე დაეცვას ტრადიციები შინაური პოლიტიკის საკითხებში, როგორც ამას იცავდა მაკდონალდის მთავრობა. ერბეტი აღნუსხავს მაკდონალდის დამსახურებას არმიის და ფლოტის გაუმჯობესების საქმეში, ხოტბას ასხამს მის ენერგიას ინდოეთსა და ეგვიპტესთან ურთიერთობის მოგვარებაში, ხაზს უსვამს მეგობრულ დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი და მასთან თანამშრომლობას დოუესის გეგმის განხორციელებაში.

რადიკალები და სოციალისტები „ევრ“-ის ფურცლებზე უსურვებენ მაკდონალდს, რომ ის ტრიუმფით დაუბრუნდეს ხელისუფლებას არჩევნების შემდეგ.

ერრიომ „პტი პროვანსალ“-ის რედაქტორთან საუბრის დროს ღრმა რწმენა გამოსთქვა, რომ მაკდონალდი ხელისუფლების სათავეში დარჩება არჩევნების შემდეგაც.

საერთო აზრი ისეთია, რომ მომავალ საარჩევნო კამპანიის მსხვერპლი გახდებიან ლიბერალები.

მაკდონალდის დამარცხებას გაკვირვება არ გამოუწვევია კომუნისტურ წრეებში. „იუმანიტე“-ს აზრით, მაკდონალდი, რომელიც მერყეობდა ორ კლასს შორის, აუცილებლად უნდა დამარცხებულიყო.

საარჩევნო კამპანია

ლონდონი. 12 ოქტ. მომავალი საარჩევნო კამპანია იქნება არაჩვეულებრივად ინტენსიური. საარჩევნო კამპანიისათვის დაწესებული ვადის სიმცირე საშუალებას უსპობს კანდიდატებს მიმართონ ამრჩევლებს ჩვეულებრივი წესით. მათი გამარჯვება არჩევნებში დამოკიდებული იქნება უმთავრესად პრესაზე და რადიოთი სიტყვების გადაცემაზე. **კამპანიის ორგანიზატორები თავგამოდებით მუშაობენ, მომავალი კვირის დასაწყისში კამპანია ზედმიწევნით გაძლიერებული იქნება. ფიქრობენ, რომ ლიბერალები და კონსერვატორები შეთანხმდებიან იმაში, რომ მხარი დაუჭირონ ერთი-მეორის კანდიდატებს. ამ შეთანხმებას მხარს უჭერენ ლორდ ბირკენხედ, ჩერჩილი, ჩემბერლენი, ბალფური და ლოიდ-ჯორჯი.**

ხელები შორს საბჭოთა კავშირიდან

ბერლინი, 12 ოქტ. გერმანიის კომპარტიამ მოაწყო ბერლინში 20-ზე მეტი მიტინგი, სადაც დევიზათ იყო წამოყენებული „ხელები შორს საბჭოთა კავშირისგან!“ ყველაზე მრავალრიცხოვანი კრებები იყო ბერლინის განაპირა უბნებში. ორატორები აღნიშნავდენ იმ საფრთხეს, რომელიც მოელის საბჭოთა კავშირს იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან. აღწერდენ მდგომარეობას საქართველოში. მიუთითებდენ მეორე ინტერნაციონალის სამარცხვინო ცდაზე გამოეწვია საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევა. ამხელდენ ერთა ლიგის ნამდვილ ვერაგულ მიზნებს და იმ მოსაზრებებს, რის გამოც გერმანიის სოციალ-დემოკრატებს სურთ, რომ გერმანია შევიდეს ერთა ლიგაში. ეს იმას მოასწავებს, რომ გერმანია უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ასპარეზათ იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტური სახელმწიფოები დაიწყებენ ინტერვენციას.

ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევდა ორატორების მხილება რუსეთისა და გერმანიის მენშევიკების ნამდვილ ზრახვების შესახებ, ლოზუნგი „ხელები შორს საბჭოთა კავშირიდან!“ მიღებული იყო ყველა კრებებზე დიდის აღფრთოვანებით.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რ ე დ.

უკანასკნელი ცნობები

ანატოლ ფრანსის გარდაცვალება

პარიზი. 13 ოქტ. ანატოლ ფრანსი გარდაიცვალა გუშინ შუაღამეზე. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დეპეშით მიუსამძიმრა განსვენებულის ქვრივს.

საფრანგეთი მორგანის ბრჭყალებში.

ბერლინი. 13 ოქტ. ხვალ პარიზში მოელიან ამერიკელ ბანკირ მორგანს, რომელიც მიემგზავრება საფრანგეთისათვის სესხის მიცემის პირობების გამოსამუშავებლათ. მორგანის ევროპაში გამგზავრებას არავითარი კავშირი არა აქვს სარეპარაციო გადასახადის საკითხთან.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში.

პარიზი. 13 ოქტ. ბანკეტზე, რომელიც გამართა ნიშის (სამხრეთ-საფრანგეთში) ქალაქის თვითმართველობამ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა დუმერგმა წარმოსთქვა სიტყვა. მან სთქვა, რომ საჭიროა საფრანგეთი სერიოზულად შეუდგეს ბიუჯეტის წონასწორობის დამყარებას, რისთვისაც გადასახადების გადამხდელებს მოუხდებათ დიდი მსხვერპლის გაღება, სახელმწიფო კი იძულებული შეიქნება სასტიკი ეკონომია დაიცვას ხარჯებში. პრეზიდენტი მოუწოდებდა დისციპლინისა და კანონებისათვის პატივისცემისაკენ.

ცეპელინით ევროპიდან ამერიკაში

ბერლინი. 13 ოქტ. ამერიკის მიერ გერმანიაში დაკვეთილი ცეპპელინი გუშინ დილით ნიუ-იორკისაკენ გაფრინდა. ამჟამად ცეპპელინი აზორის კუნძულების რაიონში იმყოფება. ბერლინის გაზეთები ამ ამბავს დიდ ადგილს უთმობენ და გადაფრენას ამერიკის ხელმეორეთ აღმოჩენას უწოდებენ.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი

ბაქო. 12 ოქტ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში ამხ. შუმიაცკიმ, რომელიც ჩამოვიდა თეირანიდან ბაქოში, საუბრის დროს განაცხადა, რომ პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის სავსებით მოწესრიგებულია. საბჭოთა კავშირს და სპარსეთს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეში ნაწილობრივ მიღწეულია ომამდე არსებული ნორმები. უმთავრეს საექსპორტო საგანს წარმოადგენს ბაქოს ნავთი.

ჩვენი ნავთი აღწევს სპარსეთის შორეულ რაიონებს, მას გასავალი აქვს უშუალოდ სპარსეთის ყურეს ნავთსადგურებში და მეტოქეობას უწევს უცხოეთის კომპანიების პროდუქციას. დანარჩენი საგნების გაზიდვასაც დიდი გამოცოცხლება ემჩნევა. სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო სწარმოებს მოლაპარაკება სატრანსპორტო ოპერაციების მოწესრიგების შესახებ. ახლო მომავალში მოეწყობა შერეული საზოგადოებები ბამბის, ხე-ტყის მასალების და სხვ. დასამუშავებლად.

ვინ ეკითხება მათ

პეკინი, 12 ოქტ. რუსეთის ყოფილი მისიის შენობის საბჭოთა წარმომადგენლისათვის გადაცემის გამო, იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, რომლებმაც 1901 წელს ხელი მოაწერეს ეწ. „ბოქსერთა ოქმს“, კარახანს მიმართეს ნოტით, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია შეიცვალოს ის წესი, რომელიც არსებობს დიპლომატიური კვარტალისათვის, იმისდა მიუხედავათ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საბჭოთა მთავრობას ჩინეთის მთავრობასთან.

საპასუხო ნოტაში კარახანი ხაზს უსვამს, რომ ის ვერ ხედავს მიზეზებს, თუ რატომ არ შეიძლება ამ სტატუტის შეცვლა ნაციონალური ან და საერთაშორისო ცხოვრების ახალ პირობებთან შეთანხმებით.

ჩვენმა მუშებმა იციან რა არის ერთა ლიგა

პარიზი. 12 ოქტომბ. ერთა ლიგასთან არსებულმა შრომის ბიურომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს კავშირის დამყარებას რუსეთის მუშებთან და ამ უკანასკნელთათვის ცნობების მიწოდებას შრომის ბიუროს მუშაობის შესახებ. საფრანგეთის პროფკავშირების წარმომადგენელმა ჟუომ წინადადება შეიტანა, რომ მიღებული რეზოლიუცია ეცნობოს საბჭოთა მთავრობას, მაგრამ ერთა ლიგის საბჭომ, იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობა უარყოფით ეპყრობა ბიუროს, უარყო ბიუროს წინადადება.

კომუნისტ დეპუტატების კონფერენცია

ბერლინი. 12 ოქტ. კელნში გაიხსნა კომუნისტ-დეპუტატების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრენ გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ჩეხო-სლოვაკიის, შვეიცარიის, იტალიის და ჰოლანდიის წარმომადგენლები. კონფერენცია გახსნა გერმანელმა დეპუტატმა კატცმა, რომელმაც ხასგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციის მიზანია წინააღმდეგობის გაწევა დოუესის გეგმის განხორციელებისათვის.

კაშენის წინადადებით კონფერენცია უგზავნის პოლიტიკურ პატიმრებს მიმართვას, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს მათ.

კომინტერნის სახელით გამოდის ფრანსუა, რომელიც ააშკარავებს დოუესის გეგმის ნამდვილ აზრს. ფრანსუა აღნიშნავს, რომ მორიგ ამოცანებს შეადგენენ: აქტიური ბრძოლა დოუესის გეგმის წინააღმდეგ, დახმარების გაწევა გერმანიის მუშებისათვის მათ ბრძოლაში ამ გეგმის წინააღმდეგ, პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის აღდგენა.

რუტ ფიშერი აუცილებლად სთვლის ბაზის შექმნას შეთანხმებული მოქმედებისათვის და აღნიშნავს, რომ ინგლისის და საფრანგეთის მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ გერმანიის მუშების ბედთან დაკავშირებულია მათი ბედიც. ექსპერტთა მოხსენება, რეიხსტაგის კომუნისტური ფრაქციის აზრით, წარმოადგენს საუკეთესო ბაზას შეთანხმებული გამოსვლისათვის. დასასრულ რუტ ფიშერი აღნიშნავს, რომ დოუესის გეგმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული უნდა იქნენ აგრეთვე ღარიბი გლეხებიც.

კონფერენციამ გამოუშვა მანიფესტი მუშებისადმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ დემოკრატიული პაციფიზმი წარმოადგენს მხოლოდ ფარდას, რომლის უკან იმპერიალისტური ძალები ემზადებიან ახალ მსოფლიო ომისათვის და საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. დოუესის გეგმა საშვალებაა ომისათვის. ბრძოლა დოუესის გეგმის წინააღმდეგ არის არა მარტო გერმანიის, არამედ საერთაშორისო საქმე და უნდა სწარმოებდეს საბჭოთა კავშირთან გაერთიანებით. ბრძოლის წარმატებით ჩასატარებლად აუცილებელია ამავე დროს ბრძოლა ერთა ლიგის და 2 ინტერნაციონალის წინააღმდეგ მსოფლიო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისათვის.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

პეკინი. 12 ოქტ. ოფიციალური ცნობების მიხედვით, დიდი ბრძოლა შან-ხაი-გუანის მახლობლად დამთავრდა პეკინის მთავრობის ჯარებისსასარგებლოდ; მათ უკუაგდეს მოწინააღმდეგე, დიდი ზარალი მიაყენეს მას და ხელთ იგდეს ტყვეები.

ამავე დროს მუკდენის მოსახლეობა ზეიმობს ჩჟან-ცზო-ლინის და ახალგაზრდა გენერალის ცჟან-ცეი-ლანის ჯარების გამარჯვებას; გენერალ ცჟან-ცეი-ლანს უწოდებენ ნაციონალურ გმირს. გაზეთი „ნინციანდენა“ იტყობინება, რომ მთავრობის ჯარები სრული წესრიგით უკან იხევენ შან-ხაი-გუანიდან ჩივანგტაუს მიმართულებით. სპეციალისტების აზრით, უკანდახევა წარმოადგენს სტრატეგიულ მანევრს.

პეკინი. 12 ოქტ. დიპლომატიური კორპუსის ნოტას პეკინისათვის ჰაეროპლანებიდან ყუმბარების დაშენის გამო, ჩჟან-ცზო-ლინმა უპასუხა, რომ მფრინავებს მიეცემათ ინსტრუქციები დაიცვან განსაკუთრებული სიფრთხილე დიპლომატიური კვარტალის მიმართ. მაგრამ სანამ პეკინი რჩება მოწინააღმდეგის მთავარ ბაზად, ჩჟან-ცზო-ლინს აუცილებლად მიაჩნია გალაშქრება სატახტო ქალაქის წინააღმდეგ, რათა გაანადგუროს უ-პეი-ფუ.

პეკინი. 12 ოქტომბ. „ფარკეტერნ ტაიმს“ იტყობინება, რომ მებრძოლ მხარეებს შორის თითქოს დაიწყო მოლაპარაკება სისხლის ღვრის თავიდან აცდენის მიზნით.

„აზიატიკ ნიუზ“ უარჰყოფს ამ ხმებს. მას საბუთად მოჰყავს პეკინის ხელმძღვანელ წრეების განცხადება, რომ ომი გაგრძელდება მანამდე, სანამ არ იქნება დაპყრობილი მანჯურია და გადაყენებული ჩჟან-ცზო-ლინიო.

პარიზი. 12 ოქტ. პეკინიდან მიღებული ცნობით, ტიან-ცზინიდან სამხრეთით რკინისგზის ხაზზე, რომელზედაც უნდა გაევლო მატარებლით გენერალ უ-პეი-ფუს, დადებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერება.

ეს შენიშნა ორმა რუსმა რკინისგზელმა, რომლებმაც აიღეს ის გზიდან. ორივე რკინისგზელი დაპატიმრებულია საქმის გამოძიებამდე.

პარიზი. 12 ოქტ. შანხაიდან მიღებული ცნობით, ჩე-კიანგის პროვინციის ჯარები დანებდენ მოწინააღმდეგეს. დადებულია დროებითი ზავი კიანგ-სუს პროვინციის ჯარებთან. ლუ-იუნგ-სიანგ და მთავარი შტაბის უფროსი გაიქცენ იაპონიაში.

გერმანიაში „დაეძებენ“ მთავრობას

ბერლინი. 12 ოქტომბ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმი რეიხსკანცლერ მარქსისადმი გაგზავნილ წერილში აყენებს მთელ რიგ პირობებს სოციალ-დემოკრატების შესასვლელად მთავრობაში.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანიის კაბინეტის რეორგანიზაცია იმნაირად-, რომ მასში შესულიყვენ სოციალ-დემოკრატები და ნაციონალისტები არ მოხერხდა.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ლიდერებმა განუცხადეს მარქსს, რომ მთავრობაში ნაციონალისტების ფრაქციის მონაწილეობის პირობები მიუღებელია სოციალ-დემოკრატებისათვის. მარქსმა გამოაქვეყნა სოციალ-დემოკრატების მიმართვა ნაციონალისტებისადმი და დასძინა, რომ მას დამთავრებულად მიაჩნია კაბინეტის რეორგანიზაციის ცდა. მარქსი ფიქრობს ხელახლა გამართოს მოლაპარაკება პარტიების წარმომადგენლებთან, რათა გამონახულ იქნას სხვა საშუალება მთავრობის კრიზისის გადასაწყვეტად.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ დღევანდელ კოალიციის დატოვებით.

სამი თავისუფალი პორტფელი.

ბერლინი. 12 ოქტ. ვინაიდან იუსტიციის და გზათა მიმოსვლის მინისტრების თანამდებობები ჯერ კიდევ თავისუფალია, ეხლანდელ შინაგან საქმეთა მინისტრს იარრეს კი განზრახვა აქვს უარი სთქვას პორტფელზე და დაუბრუნდეს ქალაქ დუისბურგის ობერ-ბურგომისტრის თანამდებობის შესრულებას, შესაძლებელია, რომ მარქსის ეხლანდელ მთავრობაში მიწვეული იქნეს სამი ახალი კანდიდატი. ფიქრობენ, რომ ამით ისარგებლებს მარქსის მთავრობა იმ მიზნით, რომ ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილოს ნაციონალისტების მოთხოვნილებები და მთავრობაში უპარტიოების სახით მიიღებს „საქმიან“ მინისტრებს.

ბოლო არ ელევა.

ნაუენი. 18 ოქტ. კაბინეტის რეორგანიზაციის საკითხი ჯერ ისევ გადაუწყვეტელია. ცენტრის წინადადებით საბოლოვო გადაწყვეტილების გამოტანა გადაიდო სამშაბათისთვის. დემოკრატებმა და ცენტრმა სთხოვეს კანცლერ მარქსს, მხედველობაში მიიღოს ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა და უარი სთქვას კაბინეტის რეორგანიზაციაზე. სახალხო პარტია დაჟინებით მოითხოვს კაბინეტის გაფართოებას მემარჯვენეთა შესვლით ან რეიხსტაგის გაშვებას და მთავრობის გადადგომას. კრიზისი უფრო რთულდება კათოლიკეთა პარტიის გამოსვლით. უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში რეიხსტაგის ფრაქციათა შორის ხდება მოლაპარაკება საერთო ფორმულის გამოსამუშავებლად, რომლის წყალობითაც თავიდან იქნება აცილებული რეიხსტაგის დათხოვნა.

რუსეთის ცაკის სესია

ამხ. მარტის სიტყვა

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. სხდომის მცირე ხნით შეწყვეტის შემდეგ დარბაზში შემოვიდა ამხ. მარტი, რომელმაც თავის სიტყვაში სთქვა:

„ყველა ისინი, ვინც ფიქრობს საფრანგეთში, რომ მხოლოდ კომუნისტურ ინტერნაციონალს შეუძლია ხსნა, ყველა ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა რუსეთის მაგალითი ერთადერთი მაგალითია,—ყველა ისინი გიგზავნიან თქვენ მხურვალე სალამს.

შემდეგ, მარტი ამბობს, რომ ის ცოტა რამ, რისი დანახვაც მან მოასწრო მოსკოვში, უფლებას აძლევს მას დაასკვნას, რომ აქ სდუღს ნამდვილი სიცოცხლე.

— სამწუხაროთ, ამბობს მარტი,— მე არ შემიძლია დაგპირდეთ, რომ ჩქარა დაგეხმარებათ საფრანგეთი და ჩქარა მოხდება რევოლიუცია ჩემს სამშობლოში. საფრანგეთი მეტათ გაჟღენთილია დემოკრატიული ილიუზიებით. მუშებს კი ატყუებენ და ისინი ჯერჯერობით პოლიტიკურათ საკმაოთ შემწიფებული ვერ არიან იმისათვის, რომ იმედი ვიქონიოთ კომუნისტურთ რევოლიუციის.

ერრიოს სამინისტრო მშრომელებს დაპირდა გერმანიის საკითხის მშვიდობიანათ გადაწყვეტას და საბჭოთა კავშირის ცნობას, რაც გამოიწვევდა ცხოვრების შესამჩნევათ გაიაფებას. მაგრამ მან ვერც ერთი დაპირება ვერ შეასრულა.

ყველაფერმა ამან კი გამოიწვია ის, რომ პარიზის მუშების დიდი უმრავლესობა ეხლა კომუნისტების მხარეზეა. არმიაში და ფლოტშიც კი დიდი სიმპატიებით სარგებლობენ კომუნისტები.

რასაკვირველია, თქმა იმისი, რომ საფრანგეთში რევოლიუცია ჩქარა მოხდება, შეუძლებელია, მაგრამ ის შორს არ არის, რასაც ამტკიცებს ის განუწყვეტელი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ ყველა ბურჟუაზიული ელემენტები კომპარტიის წინააღმდეგ. საფრანგეთის მრავალ მუშებს განზრახვა აქვთ გადასახლდენ რუსეთში, მაგრამ კომპარტია ყოველთვის აურთხილებს მათ და ეუბნება, რომ მათი მოვალეობაა დარჩენ სამშობლოში და განაგრძონ დაწყებული ბრძოლა.

50 თვით ციხეში დამწყვდევამ ვერც მე და ვერც საფრანგეთის ბურჟუაზიის სხვა მსხვერპლს ვერ შეგვაცვლევინა ჩვენი ძირითადი გრძნობა და, თუ საბჭოთა კავშირის დასაცავათ საჭირო იქნება ჩვენი სიცოცხლე და სისხლი, ჩვენ სასწრაფოთ გავიღებთ მას.

სალამი საფრანგეთის პროლეტარიატს

მოსკოვი, 13 ოქტ. მარტის მისალმების საპასუხოთ, ამხ. კისელიოვი მარტის საშუალებით საფრანგეთის პროლეტარიატს უგზავნის სალამს და იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი დაადგება რუსეთის მუშათა კლასის გზას და ჩქარა შეუდგება იერიშების დაწყებას საფრანგეთის კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკა

ხარკოვი. 13 ოქტ. 11 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, სრულიად უკრაინის ცაკის სესიამ, უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ჩუბარის მოხსენების შემდეგ, ერთხმად მიიღო დადგენილება მოლდავიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის დაარსების შესახებ, რასაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა. დადგენილების მიღების შემდეგ გამოვიდა მოლდავიის დელეგატების მეთაური სტარი, რომელმაც მადლობა გადაუხადა უკრაინის მუშებს და გლეხებს იმ ძმური დამოკიდებულების გამო, რომელიც მათ გამოიჩინეს მოლდავიის მშრომელებისადმი.

ხარკოვი, 13 ოქტ. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შექმნას უკრაინის ფარგლებში მოლდავიის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა. არჩეულია კომისია, რომელმაც სისწორით უნდა გამოარკვიოს ახალი რესპუბლიკის საზღვრები.

ამერიკელი მეზღვაურები თბილისში

ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკელ მეზღვაურთა ექსკურსია 20 კაცის შემადგენლობით. ექსკურსია ჩამოვიდა გემ „Nobless“-ით.

ამ გემმა ამას წინად ნოვოროსიისკში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატისათვის ჩამოიტანა 1.000 ცალი ტრაქტორი „ფორდზონ“-ის სისტემის, ხოლო ბათომში—ამერიკული კომიტეტის სახელზე—60 ავტომობილი, ტანთსაცმელები ბავშვებისათვის და აგრეთვე ტეხნიკური მოწყობილობანი „აზნავთი“-სათვის. ამჟამად გემი იტვირთება ბათომში შავი-ქვით ამერიკისათვის.

მეზღვაურთა ექსკურსია მოწყობილია პროპაგანდის საერთშორისო ბიუროს მიერ, რომელიც ბათომის მეზღვაურთა კავშირთან არსებობს.

ექსკურსიასთან ერთად ჩამოვიდენ ამხ. პოპოვიჩი და განესინი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. პოპოვიჩმა განაცხადა, რომ კავშირის ამოცანას შეადგენს გააცნოს საზღვარ-გარეთელ ამხანაგებს საბჭოთა საქართველოში არსებული მდგომარეობა, მიაწოდოს მათ ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურა, როგორია ჩვენი მუშათა ყოფა-ცხოვრება და ამით გააღვიძოს მათში პროლეტარული სოლიდარობის გრძნობა.

ამერიკელმა მეზღვაურებმა ბათომში ინახულეს მთელი რიგი მუშათა კრებებისა და დაესწრენ აგრეთვე მუშათა კლუბის გახსნას.

თბილისში, სადაც ისინი ჩამოვიდენ სპეციალურად მათთვის დანიშნულ ვაგონით, მეზღვაურებმა დაათვალიერეს ყოფილი სამხედრო ტაძარი —დღეს კომკავშირელთა კლუბი, საქართველოს მუზეუმი და სხვა დაწესებულებები.

მეზღვაურები ძალიან კმაყოფილი დარჩენ და მათ განაცხადეს, რომ მას შემდეგ, რაც მათ საქართველოში ნახეს, სრულ სიმართლეს გადასცემენ თავიანთ ამხანაგებს საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს მეზღვაურებმა განაცხადეს, რომ ამას წინად ამერიკაში 2000 მეზღვაურის გაფიცვის შემდეგ დაშლილ იქნა მათი პროფესიონალური კავშირი. ამერიკელ ამხანაგების სიტყვით, 62 ნახ. დოლარი, რაც ამერიკელ მეზღვაურს ეძლევა, სიძვირის ზრდის გამო სრულიადაც არ ყოფნის მას. აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ამერიკაში საჭიროა დღეში არა ნაკლებ 2 დოლარისა

ამერიკაში გრძელდება პროფკავშირების დევნა. კრებების ნებართვას იძლევიან, მაგრამ გაიხსნება თუ არა, მაშინვე ერეკებიან. სდევნიან აგრეთვე მუშათა პრესას.

„ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკაში,— განაცხადეს მეზღვაურებმა, — მუშები აწარმოებენ აშკარა პროპაგანდას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ. დემონსტრაციაზე გამოაქვთ პლაკატები, რომლებიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემას. რაც შეამცირებს უმუშევრობას ამერიკაში“

გუშინ მეზღვაურები დაბრუნდნენ ბათომში.

პარტიული ცხოვრება

ცოტა რამ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ

ცხადია, რომ პარტიაში ახლად მიღებული წევრებით, ჩვენი რიგები უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.

აშკარაა ისიც, რომ ამ მხრივ ჩვენს გარშემო შეიქმნა ისეთი ხელსაყრელი პირობები, რომლებიც ჩვენ საშუალებას გვაძლევენ ფართედ მოვკიდოთ ხელი და მასთანვე გავაღრმავოთ პარტიის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

ამ მიზნით, როგორც ვიცით, პარტიის მეცამეტე ყრილობაზედაც მიღებული იქნა დებულება: „პარტიის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაფართოების, გაღრმავების და მისთვის მასსიური ხასიათის მიცემის შესახებ“.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი პარტიული და ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ორგანიზაციების მიერ ეს პირობები ჯერ-ჯერობით სავსებით არ არის გამოყენებული.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მთავარ მომენტს. მასიურ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაღრმავებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ მუშაობაში აქტიურად ჩაბმა პარტიულთა ქვედა რიგების. მხოლოდ ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც „თვითეული საკითხი განხილული და დაკავშირებული იქნება მიმდინარე საჭიროებებთან ამა თუ იმ აუდიტორიისას“—როგორც ამას ამბობს მეცამეტე ყრილობის რეზოლიუცია.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ მასიური პოლიტიკური აგიტაცია თხოულობს მუშურ-გლეხურ მასების თვითეული მოთხოვნილების არსებითად შესწავლას იაჩეიკების მიერ.

თუ ჩვენ დავამუშავებთ, გავარკვევთ ამ კითხვებს და ჩავითრევთ ამნაირათ მშრომელ მასებს, ჩვენ გავაღრმავებთ მუშაობასაც, და ამითვე სავსებით გავამართლებთ მე-13-ე პარტიული ყრილობის რეზოლიუციასაც.

ეს სისტემატიური შესწავლა ამ შეკითხვების და მოთხოვნილებების საჭიროა არა მარტო პოლიტიკურ აგიტაციისათვის, არამედ პარტიული მუშაობისათვისაც საერთოდ.

ამ რიგად სისტემატიური შესწავლა მუშურ-გლეხური მასსების შეკითხვებისა და საჭიროებათა და ამ ნიადაგზედ გაცხოველება სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისა—აი რა გზით უნდა იქნას წარმართული პარტ-ორგანიზაციის მუშაობა.

ვ.

როგორ მუშაობს გარე-კახეთის რაიპარტკომი

გარე-კახეთის რაიონს არ ახსოვს ისეთი ენერგიული და დაუღალავი მუშაკნი, როგორიც არიან რაიკომის პასუხის-მგებელი მდივანი ამხ. ფირიაშვილი და ინსტრუქტორ-ორგანიზატორი ამხ. სეხნიაშვილი. თითქმის ერთი წელია, რაც ზემოხსენებული ამხ. მივლინებულნი არიან ამ რაიონში და მათის მეოხებით ბევრად წინ წაიწია მუშაობამ, როგორც პარტიულ-პოლიტიკური—ისე კერძოდ კულტურულ დარგში. დღიდან მიმაგრებისა მათ შემოიარეს მთელი რაიონი და დაარსეს ყველა სოფლებში კომუჯრედები და პოლიტწრეები. მათივე ინიციატივით ამოძრავდა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. აშენდა სასწავლებლები, კლუბები, თეატრები და რაც აუცილებელია გლეხებისათვის— ქოხ-სამკითხველოები. აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვით მათ გლეხობის კოოპერაციასთან დაკავშირების საქმეში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათივე თაოსნობით შესდგა რამოდენიმეჯერ მთელს გარე-კახეთში უპარტიო გლეხთა და ქალთა რაიონული კონფერენციები, სადაც ყოველი გლეხი ეცნობოდა საბჭოთა წესწყობილებას და მის ამოცანებს. და რასაკვირველია, ამ მუშაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მენშევიკური თავადაზნაურული გამოსვლებში არ ღებულობდა არც ერთი მუშა და გლეხი მონაწილეობას. გლეხობა, რომელიც ჩაბმულია საერთო აღმშენებლობაში და თვითვე ხედავს, რომ გაყვანილია სარწყავი არხები, რომ უკვე რაიონის ცენტრში—სართიჭალაში დაწყებულია ელექტრო-სადგური, კეთდება გზები და სხვა, და ყოველივე ამას ადგილობრივი რაიალმასკომი უწევს ყოველგვარ დახმარებას რაიონის აყვავებისათვის—რასაკვირველია, ვერ წამოეგებოდა მენშევიკ-ბანდიტების ანკესზე.

ულრმესი მადლობის ღირსნი არიან ამხ. ამხ. ფირია შვილი და სეხნიაშვილი. ასეთი ენერგიული მუშაობისათვის მათ არასოდეს არ დაივიწყებს გარე-კახეთის მშრომელი გლეხობა, რომლებიც თავს არ ზოგავენ პროლეტარიატის კეთილდღეობისათვის.

ა. იორისპირელი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ს. ა. ლ. კ. კ. მუშაობა ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი ამჟამად აერთიანებს 7 რაიონულ ორგანიზაციას 60 უჯრედით. წევრთა და კანდიდატთა რიცხვი აღწევს 985 კაცამდე.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი შეუდგა ს. ა. ლ. კ. კ. მე-7 ყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. ამ მხრივ ნახევარ სამუშაოზე მეტი დასრულებულია.

მაზრის მასშტაბით მოხდა ორგანიზაციის გადასინჯვა, რამაც ჩვენი უჯრედები სოფლად გაჯანსაღების გზაზე დააყენა. კომკავშირს თავის მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს კომპარტია. უკანასკნელი გზავნის თავის მომზადებულ ძალებს სხვა და სხვა კომკავშირის უჯრედებში მოხსენებების გასაკეთებლად.

ამ ჟამად მაზრაში 54 პოლიტწრეა პირველ საფეხურის და 2-ც მეორე საფეხურის; 10 კავშირის სამაზრო, სარაიონო და სათემო კლუბები. პოლიტ-ცოდნის გაღრმავებაში დიდ დახმარებას უწევს წევრებს სამაზრკომთან არსებული მოძრავი ბიბლიოთეკა.

სამწუხაროდ მოიკოჭლებს მუშაობა ეკონომიურ სფეროში. ეს გამოწვეულია მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზებით; პროფ. ორგანიზაციებში გაერთიანებულია ასამდე შეგირდი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათი შრომის დაცვის საქმეს.

კომკავშირის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა აღმშენებლობაში. ისინი ორგანიზაციულად გამოდიან საზოგადო მნიშვნელობის სამუშაოზე, როგორიცაა მაგალითად, ხიდების, გზების, სკოლების შეკეთება, არხების გაყვანა და სხვა. გარდა ამისა კომკავშირლები დიდ დახმარებას უწევენ გაჭირვებულებს და ქვრივ-ობლებს, წითელ-არმიელთა ოჯახებს ყანების დამუშავებით და სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმეების შესრულებით.

ვ.

მენშევიკური ავანტიურის მსხვერპლთა ხსოვნას

ამხ. ალ. გრიმალოია და ლუკა ივანიაძე

ამხ. ალექსანდრე იყო თავდადებული მებრძოლი და დარაჯი მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლებისა. ის მედგარი რევოლიუციონერი მებრძოლი იყო ყოველი ჯურის ანტიკომუნისტური ელემენტებისა და მტკიცეთ იცავდა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს. დღიდან მისი დაბადებისა, ის იზრდებოდა საშინელ პირობებში და დღეს საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალული ახალგაზრდა პროლეტარი ამხ. ალ. გრიმალოია მიილტვოდა მეცნიერულ კომუნიზმის ასაგებათ კომუნისტურ პარტიასთან ერთად. მის სახეს ფარავდა და ასხივოსნებდა რევოლიუციონური მგზნებარე ენტუზიაზმი. ის ჩაბმული იყო საალმშენებლო კულტურულ და ეკონომიურ მუშაობაში და მთელი თავისი ენერგიით მიისწრაფოდა სამრეწველო ფრონტის განმტკიცებისათვის.

ამხ. ალ. გრიმალოია ახალგ. ლენინელთა კომკავშირის წევრი იყო 1921 წლიდან და პირნათლად ასრულებდა ორგანიზაციის ყოველგვარ დავალებებს

მიუხედავათ იმისა, რომ მას ძლიერ კრიტიკულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება მატერიალურათ, ის ამხანაგებს მოუწოდებდა, რათა მტკიცეთ ყოფილიყვნენ კომკავშირის რიგებში კომუნისტურ იდეებით და პრინციპებით ლენინიზმის დროშის ქვეშ, მაგრამ აგვისტოს თვის 28—29-ში, საქართველოში მენშევიკური ავანტიურისტულ და ბანდიტურ გამოსვლების გამო, სადაც მონაწილეობდნენ კონტრ-რევოლიუციონური პარტიები, თავადები, ვაჭრები ნიკოლოზის ოფიცრები, მღვდლები და ბერები, ის სამტრედიის რაიონში, სოფ. ეწერში ღამით 30 აგვისტოს ერთ ამხანაგთან ლუკა ივანიაძესთან (კ. პ. წევრია) ერთად გაგზავნილი იყო ახლო მდებარე ადგილების დასათვალიერებლათ; მაგრამ იქ ბანდიტებმა და ჯალათებმა მათ არ შეუნარჩუნეს ცხოვრების წუთები და ხანგრძლივი წვალება-წამების შემდეგ ვერაგულათ განუგმირეს რევოლიუციონური გული. კომუნისტურ პარტიას და მის თანამოძმეს, კომკავშირს, რომელმაც მომავალი კადრი უნდა გადასცეს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, არ აშინებს ფიზიკური მსხვერპლი რევოლიუციონერებისა, რადგან კომუნისტურმა პარტიამ და მუშათა კლასსმა კარგად იცის, რომ რევოლიუცია უმსხვერპლოთ არ შეიძლება; ჩვენც სამაგიეროთ ასეთ დარჩენილ ნაძირალებს არ მივსცემთ მოსვენებას და ერთხელ და სამუდამოთ აღვგვით მათ დედამიწის ზედაპირზე. ჩვენ კი სოფ. ეწერის და სამტრედიის რაიონის კომკავშირის ყველა ორგანიზაციები რევოლიუციონურ ფიცს ვსდებთ გარდაცვალებულთა გვამის წინაშე, რომ არც ერთ მენშევიკ ავანტიურისტებს და სოციალ-გამყიდველ პატრიოტებს არ მივსცემთ გასაქანს.

ვალოდია კაკაბაძე.

ანატოლ ფრანსის გარდაცვალება

უკანასკნელი წუთები

პარიზი. 12 ოქტომ. გარდაიცვალა ანატოლ ფრანსი. „მატენ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განსვენებული მწერლის ახლო მეგობარმა ლეოპოლდ კარლმა ანატოლ ფრანსის უკანასკნელი წუთების შესახებ შემდეგი სთქვა:

„უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ანატოლ ფრანსი ძლივსღა აღებდა თვალებს და ლამობდა რაღაც ეთქვა. ერთხელ მან სთქვა სიტყვა „ლეოპოლდ“ და რამოდენიმეჯერ დაუძახა დედას. შემდეგ სასიკვდილო აგონია გაძლიერდა, სუნთქვა შეწყდა და ჩვენი დროის დიდი მწერალი გარდაიცვალა.

საფრანგეთის ყველა გაზეთები განსვენებულს დიდ წერილებს უძღვნიან, რომელშიაც ამბობენ, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი გულისტკივილით შეხვდება საფრანგეთის ლიტერატურის და მთელი მსოფლიოს ლიტერატურის ამ დიდ დანაკლისს.

„ეკო-დე-პარი“ ამბობს, რომ ყველა განათლებული ქვეყნები, სადა აფასებენ სილამაზეს, შეუერთდებია საფრანგეთის გლოვას.

ანატოლ ფრანს

„პტი ჟურნალ“-ი ამბობს, რომ ჩაქრა დიდებული კანდელი, რომელიც უნათებდა საფრანგეთს, ევროპას და მთელ მსოფლიოს“.

„ფიგარო“ ამბობს, რომ ანატოლ ფრანსი იმავე ფრანგული ენით ლაპარაკობდა, როგორც ვოლტერი, მაგრამ მას არ ახასიათებდა ამ უკანასკნელის ხელოვნური სტილი.

ანატოლ ფრანს

(მისი გარდაცვალების გამო)

დეპეშამ უკვე აუწყა ქვეყნიერებას ანატოლ ფრანსის გარდაცვალება. ეს სამწუხარო ცნობა სათანადო გამოძახილს ჰპოვებს კიდით კიდემდე, სადაც კი დაფასებულა სიტყვისა და აზრის ძალა.

ანატოლ ფრანს ფრანგ მწერალთა შორის ყველაზე უფრო პოპულიარული იყო ევროპაში.

ეს იმიტომ, რომ დღევანდელ საფრანგეთში ანატოლ ფრანსს ყველაზე უფრო მაღლა ჰქონდა იმ დიადი სულიერი კულტურის დროშა, რომელსაც ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორიც არიან სტენდალ, მერიმე, ფლობერ, ტენ და რენანი.

ანატოლ ფრანს არა მხოლოდ სიტყვისა და აზრის დახვეწილობის მაესტროა და იქნება, ჩვენი დროის ერთად ერთი დიდი ესტეტი,—იგი აღფრთოვანებული მატარებელიცაა იმ ქედმაღალი იდეების, რომელთა ტრადიციას ასე შეუდარებლად ამშვენებენ საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და პარიზის კომმუნა.

სხვათა შორის ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საერთაშორისო ომი ფრანსმა განიცადა, როგორც საკუთარი სულის კატასტროფა და გადიხვეწა პარიზიდან ომის დაწყების დღიდანვე თავის მყუდრო მამულში ტურის მახლობლად. ამაშივე უნდა ვეძიოთ მისი დამოკიდებულების ახსნა რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციისადმი, რომელსაც იგი აღფრთოვანებული მიეგება და ევროპის განახლების იმედები დაუკავშირა.

დღეს ანატოლი 80 წლის გარდაიცვალა.

იგი დაიბადა 1844 წ. (ნამდვილი მისი სახელი და გვარია ანატოლ ტიბო).

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1867 წ. [illegible] „ილიადას“ თარგმანის გარჩევით. როგორც პოეტმა სახელი გაითქვა 1871 წლიდან, პარიზის კომმუნის დამარცხების შემდეგ, როცა ეგრედ წოდებულმა მესამე რესპუბლიკამ და მარხა ყველა ილიუზიები საფრანგეთი საზოგადოებისა და თავისი უფეროუ დროშა აღმართა დიდი რევოლიუ ციების ნანგრევებზე. მაგრამ ფრანსმა მალე მიანება თავი პოეტობა და 1879 წლიდან დაიწყო ბელეტ სტულ ნაწარმოებთა ბეჭდვა.

ამ პატარა ნეკროლოგიურ წერილ ში შეუძლებელია ა. ფრანსის და სიათება. ჩვენ აქ ჩამოვსთვლით მხ ლოდ მის უმთავრეს შრომებს, რო მელთაც მას მოუხვეჭეს დიდი მწერ ლის სახელი და 1921 წ. კი არგუ ნობელის პრემია.—„პინგვინების კუ ძული“, „წითელი შროშანი“, „კომი კური ისტორია“. „ბატონი ჟერ კუანიარის ცხოვრება და აზრები“ „სილვესტრ ბონაარის [illegible]“, „ღმერთებს სწყურიათ“, „ანგელოზ ბის ამბოხება“ და სხ. მის კალამ ეკუთვნის მთელი რიგი პატარა მო თხრობებისა, ნოველებისა—უმრა ვლესობა მე-18 საუკ. მწერლისტების იმიტაცია,—რომელთაც [illegible] ეპოქის სურნელი და უცხო [illegible] ერთის მხრით, ხოლო მოლიმარი ი ტრიგა და შემპარავი სკეპტიციზმი მეორე მხრით...

ან. ფრანსს ჩვენი საუკუნის უდი დეს ერუდიტად სთვლიდენ მწერალ თა შორის ყველაზე უფრო „ნაკით კაცად“ მიაჩნდათ. წიგნის სიყვარულ ბავშვობაშივე ჰქონდა შეთვისებულ მამა მისი ცნობილი ბიბლიოგ იყო და წიგნის მაღაზიის პატრონ პარიზში.

საყურადღებოა მისი 5 ტომიანი შრომაც „ლიტერატურული ცხოვ ბა“—კრიტიკული წერილების კრებ ლი. კრიტიკაში იგი ჟ. ლემეტრ მიმდევარი იყო (იმპრესიონისტურ კრიტიკა).

ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ან [illegible] ვრცლად შევეხებით ამ დიდი ადა მიანის როგორც ლიტერატურულ ისე პოლიტიკურ მოღვაწეობასაც.

—ლი.

საქართველოს ექიმთა ყრილობა

ყრილობის გახსნა

12 ოქტომბერს სანიტ. განათლების სახლში გაიხსნა საქარ. ექიმთა მეორე ყრილობა.

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. კუპაიძე, კ კალეიშვილი, მამულია, ქუთათელაძ ალადოვი, ასრიბეგოვი, ჩხეტია, თო როვი.

ცენტრალურ გამგეობის ანგარიში

(მომხსენებელი ამხ. ნარჩემაშვილი)

მოხსენება შეიცავს მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მოქმედებას ერთი წლის განმავლობაში მედსანშრომის მუშაკთა უკანასკნელი ყრილობის შემდეგ.

საორგანიზაციო მუშაობა.

საორგანიზაციო დარგში გამგეობა ატარებდა ცხოვრებაში იმ დავალებებს, რომელიც მიცემული ჰქონდა ყრილობიდან. მოხდა სრული რეორგანიზაცია ადგილკომების და სამაზრო განყოფილებების, რასაც წინ უძღოდა მათი გამოკვლევა და შესწავლა: დაწესებულ იქნა სადელეგაკრებების ინსტიტუტი, რომელმაც შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. საანგარიშო პერიოდშივე მოეწყო უმუშევართა დამხმარე კომისია, აგრეთვე ჩატარებულ იქნა მრავალი კამპანია კოოპერაციის, სოციალური დაზღვევის ურთიერთ დამხმარე კასების დახმარების შესახებ და სხვა.

მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შორის წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაცხოველდა. ამ დარგებში სამუშაოდ ცენტ. გამგეობამ გამოჰყო სპეციალური მუშაკები, რომელთაც საკავშირო მუშაობაში ჩააბეს ახალგაზრდათა და ქალთა საგრძნობი რიცხვი.

კავშირის წევრთა შორის ინდივიდუალურ წევრობაზე გადასულია 93 პროცენტი. პროფდისციპლინა სათანადო სიმაღლეზე იქნა დაყენებული.

მედსანშრომის კავშირიდან მუშკოოპის წევრთა რიცხვი 30 პროცენტიდან ავიდა 100 პროცენტამდე. დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე უმუშევრებს. სულ შრომის ბირჟაში ითვლებოდა 196 სტაჟიანი და 120 ახალგაზრდა უმუშევარი ექიმი. წმენდით გამორიცხული იქნა 150 ექიმი.

კულტმუშაობა.

წერა - კითხვის უცოდინარობას ჰქონდა ადგილი ფიზიკ. შრომის მუშაკთა შორის. ქალაქში იყო სულ 60 ნ. კ. უცოდინარი, მაზრებში 42, წერა-კითხვის ოდნავ მცოდნეთა რიცხვი-კი უდრიდა ქალაქში—127, მაზრებში—133. საანგარიშო პერიოდში მოხდა წ.-კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. ამავე წელს გახსნილ იქ 3 კლუბი თბილისში, მაზრებში— ლენინის კუთხე—9. კავშირს აქ აგრეთვე პროფმოძრაობის შესასწა ლი, დრამატიული, მუსიკალური და სხვა წრეები. ქალაქის სხვადასხ უბნებში კავშირმა მოაწყო 25 ბ ბლიოთეკა-სამკითხველო, მაზრებ მათი რიცხვი 20 აღწევს. გაზეთე საკმაოდ გავრცელებულია მედსა შრომის მუშაკთა შორის. ადგილკ მებს გამოწერილი აქვთ 500 ეგზე პლიარი სხვადასხვა გაზეთი. დიდ ყურადღება ექცეოდა აგრეთვე სალე ციო მუშაობას დ პროფ-ტეხნიკურ გ ნათლებას. კავშირის წევრთაგან 1 აფთიაქს მოწაფეა. კედლის გა ზეთების გამოშვების საქმე კავშირმ ჩინებულად დააყენა.

სატარიფო ეკონომიური მუშაობა.

კავშირს დადებული აქვს სულ 5 კოლლექ. ხელშეკრულება და სატა რიფო შეთანხმება, რომელიც ვრცელ დება კავშირის წევრთა 59, პროცენტზე. კოლექტიურად არ არიან ხელშეკრულნი სახელმწიფ მინიმუმზე მყოფნი. შრომის დაცვ სხვა პირობებიც საგრძნობლად გაუმ ჯობესებულია. შვებულებით უსარ გებლია 85 პროც., ხოლო დასასვენ ბელ სახლში გაგზავნილი ყოფილ 155 წევრი. მიმდინარე საანგარიშ პერიოდში მოეწყო აგრეთვე სამეც ნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რო მლის მიზანია შეისწავლოს მედსან შრომის მუშაკთა მუშაობის ხასიათ და ყოფა-ცხოვრება.

კავშირი მხურვალე მონაწილეობა ღებულობდა აგრეთვე სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

საბინაო საკითხი ისევ დგას, თუმცა რამოდენიმ გაუმჯ ბესება ეტყობა, კავშირს აქვს სუ 198 ოთახი 7,943 კვად. არშინი მო ედნით. საცხოვრებელ ბინების გა ფართოების მიზნით მრავალ სახლ უკეთებენ რემონტს.

ექიმთა სექციის ცენტ. სიურო შესახებ მოხსენებას კითხულობს ამ ქუთათელაძე, რომელიც მიმოხილვა უკეთებს ბიურო მოქმედებას წლი ნახევრის განმავლობაში. მოხსენები შემდეგ გაიმართა კამათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის შალეულობის საქსოვ ქარხნის საზეიმო გახსნა

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

კვირას, 12 ოქტ. ქ. ქუთაისში მოხდა საზეიმო გახსნა შალეულობის საქსოვ ქარხნისა.

ამ დღისათვის საგანგებოთ იყვნენ მოწვეულნი წარმომადგენლები სხვადასხვა ცენტრალურ ორგანოებიდან.

ამ ქარხნის ისტორია და მდგომარეობა ასეთია:

ქარხანას უჭირავს ხუთი-ექვსი დღიური მიწა. გარშემო ჩამომწკრივებულია ოთხი მთავარი შენობა. შუაში კი არის საუცხოვო გაშლილი ეზო. უწინ ეს შენობები ყაზახების ყაზარმებს წარმოადგენდენ. დღეს კი შრომის დაზგები ხმაურობენ იქ და ჩვენ ქვეყანას სძენენ ახალ სიმდიდრეს, ახალი წარმატებას.

ნამდვილათ ქარხანას მუშაობა დაუწყია მიმდინარე წლის 8 აგვისტოს. გაშვებულია რვა საქსოვი მანქანა ძველი სისტემისა. მაგრამ ქარხანას აქვს ასამუშავებული 31 საუკეთესო მანქანა „შინგერისა“. ამ მანქანებს აკლიათ ზოგიერთი უმნიშვნელო ნაწილები. თვითოეული მანქანის შეკეთებასა და გამზადებას სჭირდება 1500 მანეთი.

დღეს ამ მანქანათაგანი მხოლოდ ერთია გაშვებული. ის სანიმუშო საცდელათ შეუკეთებია ინჟ. ასათიანს და შედეგიც სასურველი მოუცია. ყველა დანარჩენების შეკეთება და გაშვება სამუშაოთ განზრახულია მომავალი წლის პირველ მაისისათვის.

ამ ჟამად ქარხანაში ირიცხება 71 მუშა, რომელთა შორის ქალებიც საკმაოთ არიან, და 14 მოსამსახურე.

ყოველ დღიურათ გამოჰყავთ 120—140 არ. მაუდი. თვითოეული არშინი უჯდება ქარხანას 4 მ. 50 კ. უკვე დამზადებულია 3.650 არ მაუდი. მაგრამ ჯერ ბაზარზე არ გამოუტანიათ გასაყიდათ. მაუდეულობა შედარებით კარგი ხარისხისაა და ძნელათაც დაიჯერებს ვინმე, თუ ქუთაისში ასეთი მშვენიერი შალები მზადდება.

ამ თვის ოციდან ქარხანაში შემოღებული იქნება ორპირი მუშაობა და მაშინ დღიურათ დამუშავდება 300 არშინამდე.

ქარხანას უკვე დამზადებული აქვს 4,000 ფ. მატყლი, რაც მას უზრუნველჰყოფს ექვსი თვით მაინც. შემდეგი მარაგისთვისაც უკვე მიღებულია ზომები.

რუსეთიდან გამოწვეულია სამი ინსტრუქტორი, დანარჩენი კი ყველა ქართული ძალებია.

ქარხანა იმყოფება ს. მ. უ. საბჭოს ხელში.

ზეიმის დღეს მთელი ქარხანა მუშაობდა და ამგვარად სტუმრებსაც და რამდენიმე ათას ცნობის მოყვარე ხალხს საშუალება ჰქონდა თავის თვალით ენახა მთელი სიცოცხლე და ნაყოფიერება მუშებისა და მანქანებისაც.

საზეიმო სხდომა დაიწყო პირველ საათზე შუა ეზოში.

წარმოდგენილ იყო ადგილობრივ მუშების ყველა ჯგუფები.

გარშემოც შემომწკრივებულან წითელ-არმიელთა რაზმები თავიანთი მუსიკით. მთელი ეზო გაჭედილია რამდენიმე ათასი მსმენელით.

მიტინგის გახსნამდის გაისმის ქარხნის საყვირის საზეიმო გუგუნი და ამცნობს მთელ ქუთაისს თავის დღეობას.

ტრიბუნა ივსება თბილისიდან მოსული ამხანაგებით.

კრებას ხსნის ქარხნის გამგე ამხ. ხვიჩია. იგი აღნიშნავს დღევანდელ დღეს, როგორც ერთ საუკეთესო გამარჯვებას სამეურნეო ფრონტზე და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩქარა ეს ქარხანა გადაიქცევა სანიმუშოდ მთელ ამიერ-კავკასიაში.

შემდეგ ქუთაისის მაზრისა და ქ. ქუთაისის აღმასკომის სახელით ესალმება ამხ. ვ. ჯიბახტაძე. თავის მოხდენილ და კოხტა სიტყვაში მან დაახასიათა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქარხნის გახსნას ჩვენს ეროვნულ, კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში.

შემდეგ ს. ქ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახელით პოლიტიკური სიტყვას ამბობს ამხ. კახიანი. ის აღნიშნავს, თუ რა ძნელ პირობებში უხდება საბჭოთა ხელისუფლებას თავისი აღმშენებლობითი მუშაობა. განსაკუთრებით ხელის შემშლელი არიან ამ საქმეში მენშევიკები თავიანთი ავანტიურისტული გამოსვლებით. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება სძლევს ყოველ გვარ პოლიტიკურ და ეკონომიურ დაბრკოლებებს და შეუპოვრათ აწარმოებს თავის სამეურნეო აღმშენებლობას, რაც უეჭველათ მოასწავებს ჩვენი მშრომელი ხალხის კეთილდღეობას.

საქ. ცაკის სახელით ესალმება ამხ. შ. ლეჟავა. ყველასთვის საამო სასმენი იყო მისი სადა, ხალხური სიტყვა. მან მკაფიოთ განმარტა თუ ვინ არის ხალხის ნამდვილი მტერი და მოყვარე. ბევრი ცოცხალი მაგალითებით დაასურათხატა თავისი სიტყვა. უმთავრესად კი ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭ. რუსეთის დახმარებას საქართველოსათვის. ამის საუკეთესო მაგალითი არის ამ ქარხნის მოძღვნა რუსეთის მიერ.

ს. პროფკავშირების საბჭოთა სახელით ესალმება ჯუღელი.

საქ. სახ. კომისართა სახელით, სიტყვას ამბობს ა. დოლიძე.

შემდეგ იყო კიდევ მრავალი მისალმებანი ადგილობრივ დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან.

ბოლოს სტუმრებს გაუმართეს საზეიმო სადილი.

მოამბე.

ა. კ. რკინის-გზელთა მეხუთე ყრილობა

(დეპეშით ბაქოდან)

ბაქო, 12 ოქტ. ყრილობის გახსნამდე დელეგატებს სადგურზე შეეგებნენ ბაქოს მუშები პლაკატებით და მუსიკით. მიტინგზე მიმასალმებლად გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ მეხუთე ყრილობის მნიშვნელობას და ახასიათებდენ იმ მუშაობას, რომელიც ყრილობამ უნდა აწარმოოს.

ყრილობის გახსნა

დარბაზი სადაც გაიხსნა ყრილობა სავსეა დელეგატებით და მოწვეული სტუმრებით—მუშა-მოსამსახურეებით.

ყრილობას ხსნის ამხ. ლადო ქავთარაძე, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნავს ა | კავკასიის ხალხების იშვიათ ერთსულოვნებას და ძმურს დამოკიდებულებას სახელმწიფო მშენებლობის ყოველ დარგში. ის გულმხურვალე შეხვედრა,— ამბობს ამხ. ქავთარაძე, რომელიც მოუწყვეს ბაქოს მუშებმა ა | კ. რესპუბლიკიდან ჩამოსულ დელეგატებს, მოწმობს ა | კ. ერთა საბოლოოდ დაძმობილებას, რომელსაც ვერ დაარღვევს ვერავითარი მტრული ძალა.

პრეზიდიუმი.

ამხ. ქავთარაძის წინადადებით არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 24 კაცისგან, სამდივნო 3 კაცისგან და სამანდატო კომისია.

ყრილობა ამტკიცებს დღის წესრიგს და რეგლამენტს.

ყრილობის საზეიმო სხდომა გადადებულ იქნა მუშაობის დასრულების დღისათვის.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ზინოვიევი, ტომსკი, ტროცკი, ლოზოვსკი, რიკოვი, ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია, მიასნიკოვი, აგამალი ოღლი, კიროვი და ანდრეევი.

ამხ. ლევაშოვი კითხულობს რევოლ. სამხედრო საბჭოს მისალმებას ყრილობისადმი.

„კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მიესალმება რკინისგზელთა მეხუთე ყრილობას.

კავკასიის რკინისგზელების ფოლადის ლიანდაგები არის საიმედო და მტკიცე დამაკავშირებელი ა | კავ. ფედერაციის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისა.

სამხედრო-სარევოლიუციო საბჭოს ღრმადა სწამს, რომ რკინისგზელთა მეხუთე ყრილობა თავის დადგენილებებით გამონახავს ახალ გზებს ა | კ. რკივისგზის სატრანსპორტო მეურნეობის განსავითარებლად, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას ეკონომიის და შრომის სალი დისციპლინის საშუალებით, რაც გახდება საწინდარი შრომის ფრონტზე ახალი წარმატებისათვის, შექმნის მტკიცე დასაყრდნობ ბრძოლისათვის მშრომელთა ხელისუფლების დასამყარებლად.

გაუმარჯოს ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას?

გაუმარჯოს ა | კავკასიის მუშა-რკინისგზელებს?

კავ. წითელ. დროშ. არმიის სამხედრო სარევოლიუციო საბჭო: პუგაჩევი, ორჯონიკიძე, მიასნიკოვი, კარაევი.

დარბაზი მისალმებას ხანგრძლივი ტაშისცემით ეგებება. ორკესტრი ასრულებს "ინტერნაციონალს". სხდომა წყდება საღამოს 5 საათზე.

11 ოქტომბრის სხდომა

დილის სხდომაზე ყრილობის დელეგატები იძლევიან შეკითხვას ამხ. ქავთარაძის მოხსენების გამო. წერილობითი შეკითხვები 300-დე აღწევს. უპასუხებენ ამხ. სტეპანოვი, კუშევი და ქავთარაძე. პასუხის შემდეგ იხსნება კამათი, ჩაეწერა 35 ორატორი.

ამხ. ბაგიროვი აღნიშნავს, რომ პირველიდან 4-ე ყრილობამდე თვითეული ყრილობა იხილავდა რომელიმე კარდინალურ საკითხს: პირველი ამიერ-კავკასიის რკინის-გზების გაერთიანების საკითხს, მეორე საორგანიზაციო საკითხს. მეოთხე—თავმჯდომარის ადგილისათვის ბრძოლის საკითხს და დღევანდელი ყრილობა შრომის ნაყოფიერების და ხელფასის გადიდების საკითხს ორატორი მიუთითებს მთელ რიგ კონკრეტიულ ღონისძიებებზე.

ამხ. ნოე ლეჟავა აკრიტიკებს საქმის მოქმედებას და მიუთითებს ზოგიერთ დეფექტებზე. სხდომა იხურება საღამოს 5 საათზე.

4-ე სხდომა იხსნება ამხ. პოზდეევის მოხსენებით. მომხსენებელი ახასიათებს სამეურნეო მუშაობას, რკინისგზებზე პროდუქციის გადიდებას და აღნიშნავს მთელ რიგ ზომებს, რომელიც მიმართულია გზის მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოს მშრომელ ქალთა წარმომადგენლების ყრილობა

11 ოქტომბრის საღამოს სხდომა

სხდომაზე გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებას აკეთებენ დელეგატ-ქალები აჭარიდან, თბილისიდან, ახალციხის და ოზურგეთის მაზრებიდან.

მოხსენებების გარშემო გაიმართა მოკლე კამათი, რომელშიაც გამოირკვა ადგილებზე მუშაობის მიღწევები და ნაკლი.

შემდეგ მოსმენილ იქმნა ამხ. გიორგაძის მოხსენება.

დელეგატ-ქალთა კრებების შედეგების შესახებ

მომხსენებელი შეეხო სამი წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას, აღნიშნა ზრდა ქალთა დელეგატების რიცხვისა. გამოირკვა, რომ 1921 წელში ეს რიცხვი მხოლოდ 500 აღწევდა, 1922—23 წლებში 2 ნახ.-ჯერ მეტს, 1924 წელში დელეგატთა კრებებზე მთელ საქართველოში ესწრება 2.000 ქალზე მეტი.

12 ოქტომბრის დილის სხდომა

ამხ. ოვანესიანი რუსულ ენაზე აკეთებს იმავე მოხსენებას, რომელიც წინა სხდომაზე გააკეთა ამხ. გიორგაძემ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატ-ქალებმა.

შემდეგ ამხ. გიორგაძე აკეთებს მოხსენებას.

კოოპერაციის შესახებ

მომხსენებელი მოუწოდებს დამსწრეთ ხელი შეუწყონ კოოპერაციის გაძლიერებას და ქალების ჩაბმას კოოპერატიულ მოძრაობაში. მცირე კამათის შემდეგ სხდომა დაიხურა.

12 ოქტომბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ ჯალალანიას მოხსენება.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების შესახებ

მომხსენებელი ერთმანეთს ადარებს პროფკავშირებსა და გლეხკომებს, ის ამბობს, რომ თუ პროფკავშირები ქალაქთან აკავშირებენ მუშა-მოსამსახურეთ, გლეხკომებმაც უნდა ორგანიზაციულად შეაკავშირონ გლეხთა ფართო მასსა.

ამხ. ჯალალანია აცნობს დამსწრეთ გლეხკომების მუშაობას, მათ მიღწევებს.

ის მოუწოდებს დელეგატ ქალებს ჩაებან გლეხკომების მუშაობაში და ხელი შეუწყონ დარიბ გლეხების კოლექტიურ შრომას და ინიციატივას.

13 ოქტომბრის დილის სხდომა

ყრილობამ მოისმინა ამხ. კოდაიშის მოხსენება.

ბავშთა მეგობრების საზოგადოების შესახებ

მომხსენებელმა აღნიშნა ის გარემოება, რომ იმპერიალისტურმა ომმა ქუჩაში გამოჰყარა რამოდენიმე ათასი ბავშვი—მუშების და გლეხების შვილები, რომლებზედაც მზრუნველობა მარტო სახელმწიფოსათვის, მატერიალური რესურსების სიმცირის გამო, შეუძლებელია.

რათა ეს ბავშვები—ამბობს მომხსენებელი—არ დარჩენილიყვნენ სამუდამოთ ქუჩაში საჭირო იყო სხვა და სხვა ზომების მიღება ერთ ასეთ საშუალებათ იყო ბავშვების მეგობართა საზოგადოების დაარსება. ამ საზოგადოების წევრთა მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ხელისუფლებას ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

შემდეგ მოსმენილ იქმნა ამხ. მგელაძის საინფორმაციო მოხსენება.

ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიის მუშაობის შესახებ

ამხ. მგელაძე აუწყებს დამსწრეთ, რომ კომისიამ შესძლო გაეხსნა თბილისში ქალთა დროებითი თავშესაფარი, სადაც ღამეს ათევს და საჭმელ-სასმელს ღებულობს 25 ქალამდე. ამავე სახლთან არსებობს იურიდიული ბიურო, რომელიც აძლევს ქალებს სხვა და სხვა დარიგებას და რჩევას.

კომისიას აგრეთვე გაუხსნია ორი სამრეცხველო.

ამხ. მგელაძე ამბობს, რომ მატერიალური ხელმოკლეობის გამო კომისიას არ ჰქონდა საშვალება გაეფართოვებინა მუშაობა.

წითელი დროშა ლენინგრადის მუშა-ქალებს

გუშინ, საღამოს შესდგა ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც ამხ. სერგო ორჯონიკიძეს გადაეცა წითელი დროშა ლენინგრადის მუშა-ქალებისათვის გადასაცემად. დროშაზე აწერია: „ოქტომბრის რევოლიუციის პიონერებს—ლენინგრადის მუშა-ქალებს საქართველოს მუშა-ქალთა წარმომადგენლების პირველი ყრილობისაგან“.

ამხ. ს. ორჯონიკიძემ ყრილობას მიმართა სიტყვით.

დაწვრილებით ხვალინდელ ნომერში.

აჭარელ ქალის ხმა

მშრომელმა ფუხარა ქალმა გამოიღვიძა! მან თავის განთავისუფლებას თვითონ მოჰკიდა ხელი!

მშრომელმა აჭარელმა ქალმა უნდა გაინთავისუფლოს თავი ყოველივე ცრუმორწმუნეობისაგან, მათ უნდა უკუაგდონ დრომოჭმული ადათები და წესები.

ის თვითონ უნდა გახდეს თავისი ბატონ-პატრონი.

ამისათვის კი საჭიროა ფუხარა ქალების კავშირი, მათ თავი უნდა მოიყარონ როგორც თემებში და სოფლებში, ისე რაიონებში და ამოირჩიონ თავიანთი ინტერესების დამცველი პირები და ამ პირებიდან შეადგინონ ქალების კომიტეტი. ყოველ სოფელში უნდა იყოს ლენინის კუთხე, სადაც თავს შეიყრიან მუსულმანი ქალები საღამოებით თავიანთ ხელსაქმით. აქ უნდა მოეწყოს ხმა-მაღლა გაზეთების კითხვა და აქვე უნდა მოვაწყოთ მუსაიფი ქალებთან.

ჩვენ, მუსულმან-ქალებმა უნდა ვითაოთ, ვისაც შეგვიძლია, ჭრა-კერვის სკოლების გაღება. დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქალებს აგრეთვე საფეიქრო სახელოსნოების გაღებაც.

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ახალი თაობის აღსაზრდელათ. ჩვენი შვილები საბჭოთა ხელისუფლებისათვის საჭირო და სასარგებლო პირებათ უნდა გამოვიყვანოთ.

ჩვენვე უნდა მოვაწყოთ სკოლის ასაკამდე საჭირო კურსები. ამხანაგო ქალებო, მე ბედნიერათ ვსთვლი ჩემ თავს, რომ ჩვენ აქ მოვახერხეთ ამ მშვენიერ დარბაზში თავის მოყრა და ჩვენ ჭირ-ვარამზე ლაპარაკი.

აჭარისტანის მშრომელ ქალთა სახელით მივესალმები საქართველოს დელეგატ-ქალთა პირველ ყრილობას.

ძირს ბორკილები!

გაუმარჯოს ქალთა გამოფხიზლებას!

ნუნუშ ბერიძე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

მეცხვარეთა საზოგად. „ბირლიკ“-ში

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისია გაეცნო მეცხვარეთა კოოპერატიული საზოგადოების „ბირლიკ“-ის მიერ მოქ. მამედ-აჯივალი-ოღლისთან დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც კონტრაგენტი კისრულობს მიაწოდოს საზოგადოებას—800 ფ. რუსულ-შვეცარული ყველი, 25 მანეთად 1 ფ. ყველის სავსებით. გასაღების შემდეგ რჩება მას 40 პროც. წმინდა შემოსავლისა. კონტრაგენტის წილი მოგებაში საქ. მ. | გ. ინსპექციის კოლეგიამ საზარალოდ სცნო და დაადგინა მის სასარგებლოდ გადასარიცხი წმინდა მოგების 40 პროც. შემცირებულ იქნას 30 პროცენტამდე.

მეცნიერება და ტექნიკა

უდიდესი ჰიდრო-ელექტრო სადგური ევროპაში.

მიმდინარე წლის მარტში ბავარიაში ტბა ვალხენზეეზე გახსნილი იყო ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომელიც უდიდეს სადგურათ ითვლება მთელს ევროპაში.

ეს სადგური ბავარიის ელექტრო ხაზის ერთი ნაწილია და ის თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს ტეხნიკურ მიღწევას წარმოადგენს.

ამ სადგურის აგება რამოდენიმე სხვა ორთქლის და ჰიდრავლიკურ სადგურებთან ერთად დაწყებული იყო 1920 წელს და მათი მთავარი დანიშნულება იმაშია, რომ ბავარიის ელექტროფიკაცია გახადონ დამოუკიდებელი რურის და რეინის ოლქებიდან შემოტანილ ნახშირისაგან.

სადგურისათვის გამოყენებულია მდ. იზარი. ამ მდინარეს, როგორც სხვა მთის ნაკადებსაც, მეტათ მერყევი დონე აქვს. მაგალითად გაზაფხულზე ის მეტ წყალს და ძალას იძლევა, ზამთარში კი წყალი შესამჩნევათ იკლებს. ამიტომ ის ძალაც, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ მდინარისაგან, მეტათ მერყევია, ის ქანაობს 20-სა და 200 ათას ცხ. ძალის შორის, საშუალოთ კი მთელი წლის განმავლობაში შეიძლება მიღებული იქნეს 30 ათასი ცხ. ძალა.

სადგურის სიძლიერის გადიდების მიზნით საჭირო იყო ხელოვნური ტბის მოწყობა, რადგან მდ. იზარის წყალი ამისათვის საკმარისი არ იყო. ინჟ. მიულერმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ სადგურის აგებას, მოახერხა ამ დაბრკოლების დაძლევა. მდინარიდან ორი კილომეტრის დაშორებით არის ტბა ვალხენზეე, რომელიც გარშემორტყმულია მთებით. ამ ტბის ზედა პირის სივრცე უდრის 17 კვ. კილომეტრს, სიღრმე კი 200 მეტრს. გადაწყვეტილი იყო ამ ტბის გამოყენება, რადგან მისი წყლის რაოდენობა საკმარისია სადგურის ასამუშავებლათ. მაგრამ მთავარი დაბრკოლება იმაში იყო, რომ მთები, რომლებითაც გარშემორტყმულია ტბა, შეუძლებელს ხდიდენ ღია არხის გაყვანას. ამიტომ საჭირო შეიქნა არხების ტუნელების სახით გაყვანა.

ამჟამათ სადგური იძლევა 168.000 ცხენის ძალას. სადგური ვალხენზეე საყურადღებოა არა მარტო როგორც ტეხნიკური მიღწევა, არამედ მას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს. ამ სადგურის წყალობით ბავარიას შეუძლია ფართოთ განავითაროს ელექტროფიკაციის საქმე და ამასთანავე მისთვის საჭირო აღარ იქნება ნახშირის შემოტანა თავისი ელექტრო წარმოებებისათვის რურის ოლქიდან.

მუშათა ცხოვრება

მუშის ნაამბობი

ბნელ სარდაფიდან ძლივს ამოველ მზიან სართულში
და აივნიდან გადავყურებ დღის სინამდვილეს,
თათრულს და რუსულს აღარ ვარჩევ სომხურ-ქართულში,
ტკბილ სურვილებმა წინსვლა უფრო გამიადვილეს.

შემძაგრდა ძველი შური, მტრობა, სისხლის ღვრა ომში,
ხმალ-ხანჯლის ზიდვამ საკმარისად გამტეხა წელში,
რა მესაქმება გადავეჭრა აქედან რომში
და შორეულ ძმებს წავუჭირო მზაკვრულად ყელში!

„ხაბარდას“ გაჰყვა კაცის ფრაკი, ქალის ტურნული,
ლურჯი ხალათი წითელი თავშლით ამშვენებს ქუჩებს,
ათას ბაიათს მირჩევნია ერთი „ურმული“
და წრფელი გული სარფისათვის შეღებილ ტუჩებს...

ცრუ, ცივ კაპიტალს გაუთავდა თბილა დრო-ყავლი,
ფასი არა აქვს მუქთახორას ოხვრა-წუხილსა,
კმარა ბურჟუამ რაც აკრიფა ლალა-ნადავლი,
ვილა წაუვა სამართლიან ჭექა-ქუხილსა!..

შრომა არ შრომას ეჯახება აქ ახლო, იქ შორს,
დიდი არმადი მთელ მსოფლიოს ერთად აქუჩებს;
ქარხნის გუგუნი ამეტყველებს ტყესა და მინდორს,
სახნის საკვეთი მხარში მისდევს ნამგალ-ჩაქუჩებს!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

კიდევ ერთი უბედური შემთხვევა.

(შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

11 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, რკ. გზ. მთავარ-სახელოსნოს მექვაბეთა საამქროს მილების განყოფილებაში მანქანის გაზეთვის დროს მძიმედ დაშავდა გამზეთავი გიორგი აზრუმელაშვილი, რომელსაც მოსტყდა მარცხენა ფეხი. დაშავებულის დასახმარებლად გაიქცა იქვე მომუშავე ამხ. ვასილი ყვინთელი, რომელიც გადავარდა თხრილში და დაიმტვრა. დაშავებულებს პირველი დახმარება აღმოუჩინა ექიმმა სიხარულიძემ. დაშავებულები გადაგზავნეს რკ. გზის საავადმყოფოში.

როდის მოეღება ბოლო ამ ხშირ უბედურებას მთავარ სახელოსნოებში? ნუ თუ ამას არ უნდა მიექცეს ყურადღება? შრომის ინსპექტორო, მიიღე სასწრაფო ზომები ამ უბედურობის წინააღმდეგ.

მუშკორი ელდორადო.

ქალაქის აღმასკომში.

აღმასკომში არსებობს საადგილმამულო ქვე-განყოფილება, სადაც ადგილკომიც არის. არსებობს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, რომელიც მუშების ჭირ-ვარამს სწყვეტს. ამ კომისიაში ხშირად არის ისეთი შემთხვევა, რომ მისი გადაწყვეტილება ძალაში არ შედის. მაგ., დღესაც ათობით მუშები ზედმეტს მუშაობენ და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ გადაწყვიტა ზედმეტი სამუშაოსთვის ხელფასის მიცემა, მაგრამ ეს კი ძალაში სანამ შევიდოდა, მან რამოდენიმე დისტანცია გაიარა განსახილველად, რითაც საქმე ჭიანურდება.

მაისის საშემკომის დადგენილება დღესაც არ არის სისრულეში მოყვანილი. საჭიროა ამ დეფექტს მიაქციოს ყურადღება აღმასკომის პრეზიდიუმმა და თავისი რწმუნებული, ყოველივე ნდობით აღჭურვილი, მისცემს ამ კომისიას, რითაც საქმე დროზე შესრულდება.

საკონფლიქტო კომისიის დადგენილება უნდა სრულდებოდეს თავის დროზე.

მუშკორი მემუხრუჭეშვილი.

თბ. აღმასკომის საყურადღებოდ.

სასახლის ქ. № 5 საბჭოთა სახლში ფილინის ქუჩისაკენ გამავალ ვიწრო ქუჩის ნაპირას პატარა ოთახებში სცხოვრობს მუშა-მოსამსახურეთა რამდენიმე კომლი თავისი წვრილი ცოლშვილით, ოთახები დაზიანებულია. ამ ოთახების მცხოვრებმა ამ ხუთიოდე თვის წინად აღმასკომში განცხადება შეიტანეს ამ ოთახების ბანის შეკეთებისათვის. ქალაქის ინჟინერმა დაათვალიერა და შეკეთებასაც შეჰპირდა, მაგრამ დაპირება ცალიერ სიტყვად დარჩა. უკანასკნელი წვიმების დროს, ოქტომბრის 5, ამ ბინების ერთიერთ მოსახლის ბინის ჭერი ჩამოინგრა და ამ დროს რომ სახლში ყოფილიყო ვინმე, იმსხვერპლებდა. დაზიანებულია მეზობელი ოთახის ბანიც. საჭიროა ამ ბინების საჩქაროდ შეკეთება, თორემ შესაძლოა უბედურება მოხდეს.

ამავე საბჭოთა სახლის ქვედა სართულში არის საზოგადო ფეხსალაგი, სადაც სინათლე არაა (ერთი ლამპარი შორით ოდნავ ბჟუტავს), რის გამო მოქალაქეთ უძნელდებათ ამ ზარულებით სარგებლობა და აბინძურებენ. საჭიროა ამასაც სათანადო ყურადღება მიექცეს; სინათლე მოემატოს და უკეთ მოეწყოს.

მუშკორი ნამწყემსარი.

გამოგზავნილ წერილებიდან

პროლეტარულ სტუდენტთა ბინის საკითხი.

ბინის მხრით დიდ გაჭირვებას განიცდის პროლეტარული სტუდენტობა. საერთო საცხოვრებელ ბინაზე სცხოვრობენ ისეთები, რომელთაც შეუძლიანთ ადვილად და თავის ხარჯზე იცხოვრონ გარედ. ულარიბესნი კი უბინოდ რჩებიან და დიდ სასოწარკვეთილებაში არიან. ეს არ არის დასაშვები. საერთო ბინაში უნდა მოათავსოთ უღარიბესი პროლეტ. სტუდენტობა.

საერთო ბინის კომენდანტიც ძალიან უხეშად გვეპყრობა საჭიროა მისი გონზე მოყვანა.

მუშკორი კომკავშირელი.

მესამე სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკა

კულტმუშაობა ფაბრიკაში კარგად არის დაყენებული. მუშებს აქვთ საკუთარი კლუბი სუფთად და ლამაზად მოწყობილი, რომლის კედლებს ამშვენებს რევოლიუციის ბელადების სურათები. კლუბთან არის მოწყობილი: „ლენინის“ და „უღმერთოს“ კუთხეები. ფაბრიკას აქვს თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც მოიპოვება 2.500-მდე წიგნი, ქართულ-რუსულ და სომხურ ენებზე, მოსდის ყველა გაზეთები, რაც კი ტფილისში გამოდის. წ. კ. უცოდინარი ფაბრიკაში მხოლოდ ერთია, და ისიც მოხუცი. ბიბლიოთეკა ფაბრიკაში მოიკოჭლებს; ეს აიხსნება მისი გამგის სიზარმაცით, რომელიც უგულოდ ეკიდება თავის საქმეს; მუშების მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. შკაფში წიგნები უწესრიგოდ ჰყრია და შიგ კვერცხებს, პურს და სხვას ინახავს. ეს გამგე თავის საქმეს არ ასრულებს და ის სრულიად არ შეშვენის ამ სამკითხველოს.

მუშკორი პარნასელი.

შეაკეთეთ და გაანათეთ

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

სტრელკოვის ქუჩა მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ სახეს. აქ არ არის ქვაფენილი, ქუჩაზე გხვდებათ ოღრო-ჩოღროები მიყრილ-მოყრილ ქვა-ლოდებით. ღამით ამ ქუჩას არ ანათებენ და ამის გამო აქ გავლა შეუძლებელია.

საჭიროა ამ ქუჩის კაპიტალური შეკეთება და ორიოდე ფარნით მისი განათება, რათა აქ მცხოვრები მუშები უზრუნველყოფილი იქნენ ფეხების და ცხვირპირის მახრევისაგან. ქურდობასაც ბოლო მოეღება.

მუშკორი გ.—ურჯი.

მუშათა ახალი კლუბი

არსენლის რაიონში, ყოფილ კვირაცხოვლის საყდარში, გაიხსნა ბორის ძნელაძის სახელობის კლუბი, სადაც ხშირად იმართება წარმოდგენები, სხვადასხვა ენებზე. უმთავრესად მონაწილეობას იღებენ არსენალის მუშა-მოსამსახურეები. წარმოდგენებს მრავალი ხალხი ესწრება და კმაყოფილნიც რჩებიან ახალგაზრდა მსახიობებისა, რომელნიც წარმატებით ასრულებენ თავიანთ როლს. აი ეს ტაძარი, რომელიც აქამდის მიყრუებული და თავმინებებული იყო, სადაც არც ერთი ახალგაზრდა არ შედიოდა, გარდა მოხუცებული ხალხისა, გადაქცეულია კულტურულ ტაძრად და არამც თუ ესწრებიან წარმოდგენებს, არამედ თვითონაც ჩაბმულნი არიან სახალხო განათლების და განვითარების ფერხულში.

მეშკორი კოტე სვანიძე.

რკინისგზელთა ქრონიკა

— საქარხნო კომიტეტი. „ზაკტპო“-ს ცენტრალურ პურის საცხობის მუშებმა აირჩია საქარხნო კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით.

— საწარმოო უჯრედი. „ზაკტპო“-ს ცენტრალურ პურის საცხობის საქარხნო კომიტეტმა დაარსა საწარმოო უჯრედი, რომელიც გააცნობს მუშებს სხვადასხვა საწარმოო თათბირების დადგენილებებს.

— დამატებითი შეკეთება. პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბის გამგეობა შეუდგა კლუბის საზამთროდ დამატებით შეკეთებას.

— „ლენინის კუთხე“. „ზაკტპო“-ს ცენტრალურ პურის საცხობის საქარხნო კომიტეტი შეუდგა „ლენინის კუთხის“ მოწყობას.

ქრონიკა

— შრ. სახ. კომისარიატმა დაავალა ამხ. ბერბერაშვილს მოაგვაროს ექსპერტიზის გაწევის საკითხი.

— შრ. სახ. კომისარიატმა მიიღო გამოსაქვეყნებლათ საანგარიშო წიგნაკების შესახებ ცირკულიარი.

— წითელი არმია და პროლეტარული სტუდენტობა. თბ. პროლეტ. სტუდენტობის ცენტრ. ბიურო და წითელარმიელთა ცენტრ. კლუბის გამგეობა გაერთიანდენ კულტურული მუშაობის საწარმოებლათ. კლუბში იწარმოებს კულტურული მუშაობა როგორც წით.-არმიელებისათვის, ისე სტუდენტობისათვის.

— ოქტომბრის დღესასწაულებისათვის. ქარ. დივ. საკლუბო განყოფილების სასპორტო სექციას განზრახული აქვს ოქტომბრის დღესასწაულისათვის მოაწყოს შეჯიბრება მძლეოსნობაში.

— ხელოსანი სტუდენტები. თბ. პროლ. სტუდენტების ცენტრ. ბიუროს თაოსნობით მოეწყო ხელოსან-სტუდენტთა არტელი. ჯერ-ჯერობით გახსნეს ფეხსაცმელების სახელოსნო.

— წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა. წარსული წლის განმავლობაში მთელ საქართველოში გახსნილი იყო 809 სალიკვიდაციო პუნქტი. წერა-კითხვა შეისწავლა 10,374 კაცმა.

— ლენინის სახელობის ბაღის განათება. ახლო ხანში დამთავრდება ლენინის სახელობის ბაღის განათების საქმე.

— სკოლის აგება. ამ დღეებში დასრულდება 107 შრომის სკოლის შენობის მეორე სართულის აგება.

— საბინაო საიჯარო ამხანაგობა დაარსდა მახათის შესახვევი № 1—2, ყვირილის ქუჩაზე № 10 და ნორიოს აღმართზე.

— ფეხსაცმლების მკერავთა არტელი. მეტყავეთა კავშირი და შრომის ბირჟა ამ დღეებში პლეხანოვის პრ. № 67 გახსნის ფეხსაცმლების მკერავთა არტელის.

— დახმარება უმუშევართ. 15 ოქტ. საბჭოთა მუშაკების კავშირი მისცემს ოქტომბრის თვის დახმარებას თავის უმუშევარ წევრებს, რომელთა გვარი იწყება—ა, ბ, ვ, გ, დ—ზე.

— მეზღვაურთა ექსკურსია. ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა უცხოელ მეზღვაურთა ექსკურსია.

— კავშირის წევრთა შვილები სკოლის გარეთ. ქ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაავალა ამხ. ქაცარავას დაჩქარებით გამოარკვიოს, თუ კავშირის წევრების რამდენი ბავშვია სკოლის გარეთ დარჩენილი, და ამის მიხედვით გახსნილი იქნას ახალი ჯგუფები.

— სავარჯიშო სროლა. დღეს 13, 14, 15 და 16 ოქტ. კუკიის სასაფლაოზე მოხდება სავარჯიშო სროლა.

— სოც. უზრ. კომისარიატის განკარგულებით ამ ჟამათ ყველა მაზრაში სწარმოებს უზრუნველყოფის დაწესებულებების, თვითმშრომელთა წარმოებების, გლეხკომების და მათ გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა აღრიცხვა.

— ახალი ლაბორატორია. საზ. „ჩემომ“ გადასწყვიტა თავის შენობაში მოაწყოს საკუთარი ლაბორატორია მადნეულობის ანალიზისათვის.

— განათ. კომისარიატმა წინადადება მისცა სამაზრო განათლების ინსპექტორებს, აცნობონ კომისარიატს, თუ მათდამი რწმუნებულ მაზრაში რამდენი მსურველი დარჩა სკოლის გარეშე უადგილობის გამო და რამდენი ჩაირიცხა ყველა ტიპის სასწავლებლებში ეროვნული და სოციალური ცნობების თანდართვით.

— თბ. დამზღ. კასამ. დაადგინა წინადადება მისცეს იმ დაწესებულებებს, რომლებზედაც ირიცხება კასის დავალიანება. ანგარიში გაასწორონ 15 ოქტომბრამდე.

— უმუშევართა წმენდა. უმუშევართა გამწმენდმა კომისიამ შრომის ბირჟის აღრიცხვიდან მოხსნა 15,699 კაცი, აქედან სხვადასხვა მიზეზების გამო 1901 კაცი, ხოლო მექანიკურად 13,798 კაცი.

— აღრიცხვის განახლება. შრომის ბირჟა 16 ოქტომბრიდან განაახლებს უმუშევართა აღრიცხვას.

— ცეცხლისმქრობელ რაზმის სასარგებლოდ. ქ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა ხანძარის შესახებ არსებულ წესების დამრღვევისაგან აღებული ჯარიმა სავსებით მოხმარდეს ცეცხლისმქრობელ რაზმის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

— საფრენი მოდელების შეჯიბრება. 1 ნოემბერს მე-21 სამხ. სკოლის ეზოში გაიმართება საფრენი მოდელების შეჯიბრება.

— წიგნების გაგზავნა საზღვარგარეთ. საბჭოთა ფედერაციაში გამოცემულ წიგნების გადაგზავნა საზღვარ გარეთ შეიძლება უნებართვოთ.

— კბილის ექიმთა კრება. ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე კბილის ექიმთა კომისიის ბიურო იწვევს კავშირის წევრ კბილის ექიმთა და ტეხნიკების საერთო კრებას.

კრება შესდგება კბილის საექიმო პირველ ამბულატორიის შენობაში (პუშკინის ქ. № 15).

საბჭოთა სასამართლო

საბუთის მოპარვა

ა. წ. 9 ოქტომბერს აღმ. საქ. ოლქის სასამართლომ ვ. ცინცაძის თავმჯდომარეობით და პროკურორის თანაშემწე დიდებულიძის მონაწილეობით გაარჩია თბილისელ ვაჭრის რუბენ აპრიამოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ს. ს. კ. 95 მუხლში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება.

მე-7 უბნის სახალხო სასამართლოში მიმდინარე წლის აპრილში ირჩეოდა სამოქალაქო საქმე მომჩივან ტაჩხელაშვილის მიერ აპრიამოვის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელის შესახებ. 2 აპრილს აპრიამოვი გამოცხადდა სასამართლოში მდივანთან. აქ მან ისარგებლა შემთხვევით, როდესაც სასამართლოს მდივანი გასული იყო თავის კაბინეტიდან მოსამართლეთათვის მოხსენების გასაკეთებლათ და ჩუმათ ამოიღო მდივნის პორტფელიდან საბუთი, რომელიც მოწმობდა, რომ აპრიამოვს თავის მომჩივნისათვის უნდა გადაეხადა 105 მანეთი. საბუთის მოპარვის შემდეგ აპრიამოვი შინ წავიდა.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ბოროტმოქმედების ფაქტი და თანახმად ზემოაღნიშნულ მუხლისა მიუსაჯა ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში ორი წლის ვადით.

ხელოვნება

საოპერო სეზონის გახსნის გამო

საოპერო სეზონი გაიხსნება ზ. ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“.

დასის შემადგენლობა თითქმის განახლებულია. არიან ისეთი მსახიობები, რომლებიც პირველათ მღერიან თბილისში.

წარსულ სეზონში მომუშავე მსახიობებისაგან სასიამოვნოა წრევანდელ დასში ისეთი მომღერალის მიღება, როგორიც არის პოპოვა (განსაკუთრებული სიძლიერის და ტეხნიკის კოლორატურული სოპრანო). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსახიობს დამუშავებული ექნება შესრულების სცენიური მხარე, რომელიც წარსულ სეზონში მოიკოჭლებდა.

მოწვეულია აგრედვე მოსინი (დრამატიული ტენორი). ამ მსახიობმა ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიების მხატვრულათ გაგებას ვოკალურის მხრივ.

ოპერა „ოქროს მამალში“ ვარსკვლავთ-მრიცხველის პარტიის შესრულების შემდეგ კავსაძემ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია არა მარტო ოპერეტებში თამაში, არამედ საოპერო ლირიული პარტიების წარმატებით შესრულებაც.

მისალმების ღირსია აგრეთვე ახალგაზრდა ბარიტონის ვენაძის მოწვევა დასის შემადგენლობაში. დასში შედის აგრეთვე ჩვენი ნიჭიერი მომღერალი, სახალხო არტისტი სარაჯიშვილი. გვინდა ვიფიქროთ, რომ მძიმე ავადმყოფობა, რომელსაც განიცდიდა ის, განვლილია და ჩვენი ტენორი კვლავ დაგვატკბობს ჩვენ თავისი მშვენიერი სიმღერით და მგრძნობიერი თამაშით.

ბანების პარტიების შემსრულებელთა შემადგენლობა მეტად ძლიერია. პასუხსაგებ პარტიებზე მოწვეულია მომღერალი ისეცკი, რომელიც თავისი განსაკუთრებული ნიჭის წყალობით მეტათ უყვარს თბილისის საზოგადოებას და შარაშიძე, რომელსაც მეტათ ძლიერი და ლამაზი ხმა აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ მომღერალმა გააფართოვა თავისი რეპერტუარი და სხვა პარტიებშიც ისეთ მხატვრულ სიმაღლეს მიაღწია, როგორც მეფისტოფელის პარტიაში

საორკესტრო შესრულება უზრუნველყოფილია, რადგან ორკესტრს სათავეში უდგანან სტოლერმანი და ივანე ფალიაშვილი.

ბალეტის შესახებ ჩვენ ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებთ ჩვენი აზრის გამოთქმისაგან, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მოცეკვავე სერგეევი არ შეეფერება აკადემიური ბალეტის მეთაურის თანამდებობას.

საინტერესოა რეპერტუარი, რომელსაც გვპირდება ოპერის დირექცია; განსაკუთრებით მისალმების ღირსია ოპერები „ტრისტან და იზოლდა“—ვაგნერის, „Долина“—დ'ალბერის, „ბრძოლა კომუნისათვის“—პუჩინის და სხვები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რეპერტუარში შეტანილი იქნება ქართველი ავტორების ოპერებიც.

პ. ბ.

— ავლაბრის მუშათა კლუბში. 10 ოქტომბერს ავლაბრის მუშათა კლუბში როსტოვიდან ჩამოსულ სომხური დასის მიერ წარმოდგენილი იქნა 3 მოქ. ოპერეტკა „ჰარამხანას საიდუმლოება“. სურათი გადმოღებულია ძველ სპარსეთის ყოფა-ცხოვრებიდან. საუკეთესოთ იყო მოწყობილი სცენა. ოპერეტკამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ავლაბრის მუშათა კლუბში ყველაზე. მსახიობები კარგად ასრულებდნენ როლებს. საზოგადოებაც საკმარისად დაესწრო, წარმოდგენა მშვენივრად ჩატარდა.

ი. ჯ.

პროვინციის ცხოვრება

შეფები ხელს უწყობენ სოფლის კულტურულად დაწინაურებას

(სოფ. ახალ-ბოგდანოვკას და ყანდაურას შეფის მუშაობა)

სოფ. ახალ-ბოგდანოვკაში უმთავრესად ცხოვრებენ უკრაინიდან ახლად გადმოსახლებული რუსები. უნდა ითქვას, რომ დიდი მორწმუნე ხალხი არიან, ეკლესია და მღვდელი მათთვის წმინდათა წმინდას შეადგენდა დღემდის, მაგრამ რაკი ამ სოფელზე და სოფელ ყანდაურაზე თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ს მუშებმა იკისრეს შეფობა, ამ სოფლებს საკმაო ცვლილება დაეტყო. შეფი შეძლების დაგვარად ხელს უწყობს სოფელს. აწარმოებს კულტურულ მუშაობას ატარებენ სხვადასხვა კამპანიებს, ეხმარება ყოველგვარი გაჭირვების დროს, აგზავნიან ლიტერატურას როგორც რუსულ აგრეთვე ქართულს.

27 სექტემბერს ჩვეულებრივს გაიგზავნა საშეფო კომისიის ერთი წევრი ამხ. ბარხუდაროვი. სოფლად გაიმართა მიტინგი და გლეხობამ დაადგინა დახუროს ეკლესია. და მის ადგილას გაიხსნას კლუბი, ხატების ნაცვლად, ახლა კლუბის კედლებს ამშვენებენ ჩვენი რევოლიუციის ბელადების სურათები, აქვე არის მოთავსებული ახლო სკოლა და სამკითხველო, საიდანაც სოფლის ახალგაზრდობას მიაქვთ წიგნები. შესდგა პატარა სამუსიკო წრე.

შესდგა აგრეთვე სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც სისტემატიურად გამართავს რუსულ წარმოდგენებს.

6 ოქტომბერს აქ უკვე დაიწყო სკოლაში მეცადინეობა. მიუხედავათ იმისა, რომ რუს გლეხებს უწინ ცოტათი ემძიმებოდათ ბავშვების სკოლაში გაგზავნა, მაგრამ ახლა კი იხვეწებიან, რომ ბავშვები მიილონ სკოლაში.

სოფელ ყანდაურაში სკოლის შენობის შეკეთება სწარმოებს და მეცადინეობა მოკლე ხანში დაიწყება. დაარსდა საღამოს კურსებიც, სადაც სწავლობენ უფროსებიც, ვიდრე 30 წლამდის. სწარმოებს მუშაობა, რომ გაიხსნას საკვირაო სკოლა ქალებისათვისაც. საშეფო კომისია აწყობს ფიზკულტურის წრეს, რისთვისაც იგზავნება სავარჯიშო რკინის ხივთები. არსებობს დრამატიული წრე, რომელიც დროგამოშვებით მართავს სახალხო წარმოდგენებს.

მუშკორი **ალ. ბ—შვილი.**

დაბა-ჩხარის სახალხო თეატრი

(შორაპნის მაზრა)

1921 წ. დ. ჩხარში გაერთიანებული იქნა რამდენიმე დუქანი თეატრის მოსაწყობად. პირველ ხანებში არც სცენა ვარგოდა, სკამები სულ არ იყო და თუ იყო ადგ. ისიც დამტვრეული.

წელს კი ადგ. რაი-აღმასკომის და რაიპარტკომის ენერგიული მუშაობის წყალობით ეს თეატრი გადაკეთებულ იქნა სახალხო სახლათ. შენობა გაფართოებულია და წინა მხრიდან გაუკეთდა ქვიტკირის კედელი, მანამდე კი ჰქონდა უბრალო დუქნის დარაბები. გაფართოებული იქნა სცენა, დაიდგა სკამები საკმაო რაოდენობით.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ქალ. ქუთაისიდან ჩამოვიდა სამი მსახიობი, რომელთაც ადგილობრივ ძალებთან ერთად გამართეს რამდენიმე წარმოდგენა. სამივე ამხანაგი დარჩა დ. ჩხარში და შეუდგენ დრამ. წრის მოწყობას, თეატრის გალამაზება-გამშვენიერებას და წარმოდგენებისათვის საჭირო ტანსაცმელის დამზადებას.. მადლობის ღირსია ჩხარის რაიაღმასკომი ამ თეატრის სახალხო სახლად გადაკეთებისათვის და ხელმძღვანელი ამხანაგები თეატრის მოსაწყობად ენერგიული მუშაობისათვის.

სხივი.

პროვინციის თეატრებს ყურადღება უნდა მიექცეს

სოფ. გომბორი (გარე-კახეთი)

სოფელ გომბორში არსებობს თეატრი, რომელიც მოთავსებულია სამხედრო უწყების ყოფილ ყაზარმების შენობაში. თეატრი ცოტათ თუ ბევრათ მოწყობილია, მაგრამ მის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. თეატრის შენობას არა აქვს ფანჯრები და ქარი ყველა გვერდებიდან თავისუფლათ დასეირნობს. შენობაში ზაფხულობით კიდევ არა უშავს, სიცივე მაინც არ შეაწუხებს მაყურებლებს, მაგრამ ახლოვდება ზამთრის ცივი დღეები და თეატრში მუშაობა შეუძლებელი შეიქნება სიცივისა და ყინვების გამო. გარდა ამისა, თეატრს არა აქვს სკამები. ადგილობრივ თეატრალურ სექციას იმდენი ძალა არ შესწევს, რომ თეატრის შემოსავლით მოაწესრიგოს ყველა ესენი, ვინაიდან წარმოდგენები უმთავრესად უფასოდ იდგმება. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს გარე-კახეთის რაიაღმასკომმა, რომელმაც ფულით დახმარება უნდა გაუწიოს თეატრისა და კლუბის საქმის გაუმჯობესებას.

ფოლადი.

პროვინციის მასწავლებლობას ყურადღება ესაჭიროება

წერილი გორიდან

(განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

დაიწყო სამოსწავლო წელი. მასწავლებლობა ხალისით უდგება თავის მძიმე მოვალეობის შესრულებას, მას დიდი და რთული საქმე აქვს დაკისრებული და რომ მან შესძლოს ამის შესრულება, საჭიროა თავის დროზედ ჯეროვანი დახმარების აღმოჩენა და ხელის შეწყობა. ამჟამად საჭიროა სამოსწავლო პროგრამები ყველა საფეხურის სკოლებისათვის. დღემდე-კი ასეთები ჩვენ არ მოგვეპოვება და არც ვიცით როდის მივიღებთ.

სასურველი იქნებოდა, რომ სამოსწავლო პროგრამები დაგზავნილი იყოს, მაზრაში ერთი ან ორი თვით ადრე, რათა მასწავლებლობა გასცნობოდა მათ, გადაემუშავებინა იგი და შეეფარდა იგი იმ პირობებისათვის, რომელშიაც მას მოუხდება მუშაობა.

ასეთი მუშაობა ჩვენში არ ყოფილა, რის გამო შეიძლება სუსტი მასწავლებელი, ასეთი კი საგრძნობლად მოგვეპოვება, დაიბნეს და ნაკლები ნაყოფიერება გამოიჩინოს მუშაობაში.

საჭიროა პროგრამები, საჭიროა სახელმძღვანელო წიგნები და მასალები და პროვინციის მასწავლებლობა შეასრულებს ახალი სკოლის მოთხოვნილებებს.

შ. გუტიკაშვილი.

რა იქნა სამკითხველოს ასაგებათ შეგროვილი თანხა

სოფ. გვიბრალაური (ლანჩხუთის რაიონი)

იმ დროს როცა საქართველოს ყველა კუთხეში მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით სცდილობს დაწინაურდეს კულტურულათ და ეკონომიურად, ჩვენი კუთხე თითქმის უყურადღებოდ არის მიტოვებული. აქ სამკითხველოც კი არ არის. თუ სხვა კუთხეებს: ნათლისმცემლისას, ლანჩხუთისას, მაჩხვარეთისას და ჯუნჯვათისას აქვთ სამკითხველო, ნუ თუ გვიბრალაურის კუთხისათვის, ეს ზედმეტი ბარგი იქნება? მაგრამ მე ვიტყვი, რომ ამაში ხალხს ბრალი არ მიუძღვის. ამის შესახებ ბევრჯერ იყო კრება მოწვეული. კრებაზე არჩეული იქნა კომისია, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელებია ამ საქმისათვის. გაიმართა საღამო, საკმაო თანხა შემოვიდა. გარდა ამისა, სადაც კარგი შემოსავალიც იყო კომისიამ გააწერა ხალხს გადასახადი სიმინდით თუ ფულით, იყო აგრეთვე შემოწირულებანიც. მე ვერ მოვიყვან აქ სწორ ცნობას, თუ რამდენი მოგროვდა, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს თანხა არამც თუ პატარა სამკითხველოს, არამედ სამ-ოთხ თვალიან სახლს ააშენებდა. სამკითხველო კი დღესაც არა გვაქვს. რა იქნა მოგროვილი თანხა? რამ ჩაყლაპა ის ქონება, რომელიც კომისიის ხელთ იყო?

ადგილობრივი ხელისუფლება მოვალეა მოახდინოს სასტიკი გამოძიება, და თუ ვინმეს ამ საქმეში რაიმე ბოროტ-მოქმედება მიუძღვის, მოეთხოვოს სასტიკი პასუხი. ამავე ხელისუფლებას ევალება ამ კუთხეს გაუწიოს დახმარება, გახსნას თუგინდ პატარა სამკითხველო, და გამოიწეროს ყოველდღიურათ სამი-ოთხი სხვადასხვა გაზეთი.

ალ. ხოფერია.

პროვინციის ქრონიკა

— **წ. კ. უცოდინირობასთან საბრძოლველად.** საქ. პოლიტ-განათლების მმართველობა ზუგდიდში ხსნის 291 წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლას.

— **ხამეურნეო იარაღები.** სიღნაღის სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღები გლეხებისათვის შეღავათიან პირობებში მისაწვდენად.

— **საკრედიტო ამხანაგობა.** ახალქალაქში გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობა, რომელშიაც უკვე ჩაეწერა წევრად 1000 გლეხი, საპაიო გადასახადია—5 მან. ხოლო საწევრო 50 კაპ.

სასოფლო კომუნები. სოფ. ხუდაში და ტილდაში დაარსდა გლეხების სასოფლო-სამეურნეო კომუნები.

— **ყულევის გლეხკომი.** ვინაიდან ყულევის თემი (სენაკის მაზრა) შეერთებულ იქნა ფოთის რაიონთან, ამიტომ ყულევის გლეხკომი გადავიდა ფოთის სამაზრო გლეხკომის განკარგულებაში.

— **გურიის მილიცია.** ოზურგეთის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წინაშე გურიის მილიციისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ.

— **თვითმშრომელთა საზოგადოება.** ფოთის თვითმშრომელთა საზოგადოებამ გადასწყვიტა გახსნას საკუთარი კლუბი და შეუდგეს კულტურულ მუშაობას თავის წევრთა შორის.

ბიბლიოგრაფია

ნ. ლენინი (ვ. ულიანოვი). ეროვნული საკითხი

წერილების, თეზისების და სიტყვათა კრებული (1910—1920). თხზულებათა მე-19 ტომი

ნათარგმნი ის. თალაკვაძის რედაქტორობით. გვ. 358. ს. ს. ს. სახელმწიფო გამომცემლობა. 1924 წ, თბილისი

სახელმწიფო გამომცემლობამ, უეჭველია, ერთგვარი ალღო აუღო სინამდვილეს, როდესაც ნ. ლენინის თხზულებათაგან პირველ რიგში გამოსცა ქართულად ის ტომი, რომელიც ეროვნულ საკითხს ეხება, თუ ბევრს ეროვნული საკითხი გასულ საუკუნის საკითხად მიაჩნდა და ჰფიქრობდა, რომ მეოცე საუკუნეში ამ საკითხმა სავსებით დაუთმო ადგილი კლასობრივ საკითხს (ასე მსჯელობდენ მაგ. ნოე ჟორდანია და მენშევიკები ჩვენში), პროლეტარულ რევოლიუციის ბელადმა დიდ მსოფლიო კატასტროფის მოახლოვების აჩრდილში საკვირველი პოლიტიკური გამჭრიახობით ამოიკითხა კლასობრივ და ეროვნულ ბრძოლის განუყრელი შეუღლება ამ ჟამად უკვე სინამდვილედ ქცეულ სოციალ კატასტროფაში. წიგნის მრავალ ადგილზე არის ლაპარაკი „პროლეტარიატის ინტერნაციონალ კულტურაზე". რამდენადაც საერთაშორისო პროლეტარულ კულტურაში **შესასვლელ გზებზეა** ლაპარაკი, რამდენად ლენინის აზრით ეროვნული და პროლეტარული ბრძოლა ერთი მეორესთანაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1913 წ. ლენინი სწერდა: „მთელ მსოფლიოში. მუშები ჰქმნიან თავის საკუთარ ინტერნაციონალ კულტურას"... და იქვე ქვევით: ეროვნულ ჩაგვრის, ეროვნულ შუღლის და ეროვნულ გათიშვის ძველ მსოფლიოს მუშები უპირდაპირებენ ყველა ეროვნების მშრომელთა ერთობის ახალ მსოფლიოს"... (ტ. XIX, გვ. 32).

ეროვნული საკითხი გაგებულია სრულიად ნათლად და ცხადად არა მარტო როგორც კლასთა ბრძოლის საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული. არამედ გათვალისწინებულია მისი საერთაშორისო ძალად გარდაქცევის პერსპექტივები. ეს ადგილები წიგნში პოლიტიკურ ინტუიციის საუკეთესო ნიმუშებია. იმავე 1913 წელში, როცა მსოფლიო ომის აჩრდილი ჯერ კიდევ მთელი თავისი ნიშნებით და შედეგებით არა ჩანდა, ნ. ლენინს გათვალისწინებული აქვს აზიის დაბეჩავებულ ხალხების და ევროპის პროლეტარიატის შორის კავშირის ბუნებრივობა („ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია"). იგივე აზრია გატარებული წერილში „აზიის გამოღვიძება", სადაც ყოველივე ორაზროვნობის გარეშე სწერია შემდეგი: „აზიის გამოღვიძება და ევროპის მოწინავე პროლეტარიატის მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის დაწყება მე-20 საუკუნეს დამდეგს—მსოფლიო ისტორიის ახალ ხანის დადგომას მოასწავებს". ეხლა, როდესაც ისტორიის ეს ფურცელი თანამედროვეთაობისათვის უკვე გადაშლილია, მეტად საინტერესოა პოლიტიკურ ინტუიციის ასეთი იშვიათ მაგალითზე შეჩერება.

წიგნი, მიუხედავათ იმისა, რომ პატარ-პატარა წერილებიდან შესდგება ერთი მთლიანი იდეითაა გამსჭვალული: მასში მოთავსებულია როგორც თეორიულ პრინციპიული გაშუქება საკითხის, აგრედვე პრაქტიკული მისი დასმა და გადაჭრის ნიმუშები. ამ მხრივ წიგნზე დართული „დამატებანი", რომლებიც ეროვნულ საკითხის გამო წარდგენილ თეზისების და რეზოლიუციების კრებულს წარმოადგენენ, წიგნის ორგანიული ნაწილია.

ქართულ თარგმანს საერთოდ არა უშავს. წიგნს არ აქვს დართული შეცდომების შესწორება—თითქოს იგი უნაკლოდ იყოს დაბეჭდილი. მაგ. „სასკოლო დარგის გამოყოფა, ჯერ ერთი, ბრიყვული უტოპიაა, ვინაიდან განცალკევება სკოლისა... ეკონომიკისა და პოლიტიკისაგან—**შესაძლებელია**" (ს. ს. შ. ნ. გვ. 60). არ შეიძლება ამ ამბის ასოთ-ამწყობისათვის გადაბრალება, ვინაიდან აქ „ასოში" არაა საქმე. ეს სარედაქციო ნაწილის სისუსტის ნიმუში უნდა იყოს. არის რუსიციზმები. მაგალ. „პოლონეთის შედარებით **მაღალმა დონემ ეკონომიურ განვითარებისამ** უკვე წარმოშვა და სხვ." ასეთი შემთხვევები მრავლადაა წიგნში.

წიგნს გარეგნულად ის დეფექტი აქვს, რომ შეცდომების შესწორებას არ შეიცავს. უხერხულია ისიც, რომ ერთსა და იმავე წიგნს ორი ქრონოლოგიური დატა აზის: 1924 გარეკანს და 1923 წელი შინაკანს. ეს უკანასკნელი ამბავიც ჩვენებური დაუდევრობის ნიმუში უნდა იყოს.

წიგნი ძალიან იაფია.

შ. ნ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 53.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 2.

საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის შესახებ.

1924 წლის იანვრის 17 თარიღითა და 117 №-რით გამოცემული დადგენილების (ა.-კ--ის ს. ფ. ს. რ. კან. და განკ კრებ. 1924 წ., № 1, მუხ. 15) დასამატებლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: ის საბჭოთა მოქალაქე, რომელიც წარადგენს სახალხო მოსამართლის მოწმობას, რომ მას სახსარი არა აქვს საუცხოეთო პასპორტისა და ვიზისათვის სახელმწიფო გამოსაღები გადაიხადოს, განთავისუფლებულ უნდა იქნეს გამოსაღებისაგან.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმ. ს. ლეკიშვილი.

ცირკულიარულად

რესპუბლიკის სახფინკომის რწმუნებულებს და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიებს.

ყველაზე დიდი საქმე, რომელიც დღეს ჩვენს ხელთ არის—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სასურველად ჩატარებაა; ყოველგვარი მასალა ამ გადასახადის ჩასატარებლად შემუშავებულია და ადგილობრივ მოგეპოვებათ.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელ სესიაზე საბოლოოდ დამტკიცდა რესპუბლიკებისა და მაზრების მიხედვით გადასახადის რაოდენობა, ამ შეღავათებით სარგებლობა და გატარება ცხოვრებაში სავსებით სამაღმასკომების და სამაზრო საგადასახადო კომისიების ხელთ არის; ყოველგვარი საკითხი, გადასახადის ფურცლის გასწორება შეღავათის ფონდის მიხედვით და მისი შემცირება ან ცალკე გლეხისათვის ანუ მთელი კუთხისათვის—სავსებით დამოკიდებულია ადგილობრივ ხელისუფლებაზე.

წინადადებას გაძლევთ ფრიად სასწრაფოთ აცნობოთ გადამხდელთა მასსას, თემობრივ და სოფლობრივ, რომ ყოველ გასარკვევი საკითხი, სასოფლო-სამეურ გადასახადისა გადაჭრება ადგილობრივ ერთი გადამხდელის ცენტრში სიარ არაა საჭირო.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მ სერიოზული საკითხია,—ყველა პას [illegible] ვისი ყურადღება მიაქციოს ამ ს ფრთხილად და ფხიზლად მოეპყრან გა დელთა საჩივრებს, სასწრაფოთ განიხ იგინი და გადაჭრილი პასუხი გამოეც ყველას.

ამ საქმეში უნდა გამოყენებული არა მარტო საგადასახადო კომისიები ფინინსპექტორები, არამედ გლეხკომები, ფლის საბჭოები, მიწკომები და სხვა.

დროს დაუკარგველად, სასწრაფოთ, რამ გულდასმით უნდა გაირჩეს ყოველ კითხი, რომელსაც კავშირი აქვს სასოფ სამეურნეო გადასახადთან.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებული საქ თველოში დ ლ ო ნ ტ

სასოფ. სამ. გადასახადის განყოფ. მმ თველი ჯ ა ფ ა რ ი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— ხუთშაბათს, 16 ოქტომბერს ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება კამ

„საბინაო პოლიტიკის შესახებ".

მომხსენებელია ამხ. ივანოვ-კავკასკი. თანამომხსენებლები—ჯუღელი და მაშკ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა შეიძლება მხოლოდ პარტიული ბილეთებით.

კლუბის გამგეობა.

მიღიან პარტიაში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მ ე ს ა მ ე რ ა ი კ ო მ ქვემოდ დასახელებული პირების მიერ შემოტანილია განცხადებები პარტიაში მიღებ შესახებ. მესამე რაიკომი სთხოვს ყველა ამხანაგებს და პირებს, რომელთაც აქვთ მამ ლებელი საბუთები აღნიშნულ ამხანაგების წინააღმდეგ, წარმოადგინონ ასეთები ერთი კ რის ვადაში რაიკომში (კახეთის ქუჩა № 1).

1, ისრაელიანი ოგანეზ, 2, სეროპოვი ტიგრანი, 3, კიპრიზოვი მიხეილი, 4, სტ ნიანი ხოსროვი, 5, კოპნესი სოფიო, 6, მკრტუმოვი არმენაკი, 7, ეგიაზაროვი მელიკ, მამედოვი, 9, აირაპეტოვა ნინო, 10, გაგნიძე პლატონი, 11, მამედოვი აბუზარი, 12, ლაძე ნიკოლოზ, 13, ეგიაზაროვი სოლომონი, 14, ედიგეზალოვი მ. 15, მურადოვი ხოსრ 16 ტატევოსიანი მესროპი, 17, სარუხანოვი, არტაშესი, 18, ნერსესოვი არტაშ, 19, კა პეტიანი კარაპეტ, 20, ეგოროვი ივანე, 21, დელიმაშვილი ფილიპე, 22, პოლაეტევი იაკ 23, კრჟესტოფიკ სტანისლავ, 24, თურმანოვი ვლადიმერ, 25, ოგანეზოვი მაკარი, დროგანოვი სტეფანე, 27, ბოროვიკოვი ვასილ, 28, სკოლსკი ვალენტი, 29, ტაგი-ზად ასად, 30, ნაბიჭვრიშვილი ალექსანდრე, 31, ავეტისიანი გრიგოლ, 32, ზეიც—დავუ, 3 სარქისოვი რუბენი, 34, ხარაჯიანი სურენი, 35, ხაჩატუროვი ხაჩატურ, 36, აკოპოვი ო ნეზ, 37, ქლენტი მელიტონ, 38, ბილანოვი იაკობ, 39, შაინიანი ასრატი, 40, მხიტარია რუბენ, 41, აგაბაბოვი ტ.

მდივანი: ვ ა რ თ ა პ ე ტ ი ა ნ ი.

— დღეს, 14 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნ შესდგება

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომ

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატ თა დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რ უ ბ ე ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის და ა. ლ. კ. კ. თბ. კომიტე ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება, ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება და კავკა სიის წითელდროშოვან არმიის პოლიტიკური განყოფილება წინადადებას აძლევენ ყვე მუშათა, წითელარმიელთა და კომკავშირის კლუბების გამგეებს, სახელმწიფო ოპერი ქართული აკადემიური დრამის და დრამატიული თეატრის (მცირე) გამგეებს და ხელო ნების მუშაკთა კავშირის თეატრის გამგეს ამხ. ლეინს—გამოცხადდენ ოთხშაბათს 15 ოქ ტომბერს, დილის 12 საათზე პროლეტკულტის წითელ თეატრში (ყოფ. სახალხო სახლ ოქტომბრის რევოლიუციის დღის სამხატვრო პროგრამის შესამუშავებლათ.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება რომ სამშაბათს 14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ [illegible] შეს დგება არსენალის რაიონის ს. ფ. მ. ს. წევრთა საერთო კრება.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი მ ა შ კ ე ტ ი ნ.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დღეს საღამოს 4 საათზე მოწვეულია სახელ. უნივერსიტეტის კომ. უჯრედის არაჩვეულებრივი კრება უნივერსიტეტის შენობაში. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები დასწრება ყველა წევრების და კანდიდატებისთვის სავალდებულოა.

კომ. უჯრედის სამდივნო.

ანდრია სამსონის ძე ჩიქოვანი თავისი პატარა ობოლი შვილით, აჩიკოთი უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ მეუღლის და დედის

თამარ დიმიტრის ასულის ჩიქოვანის

გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფიდან 15 ამ ოქტომბერს, შუადღის 3 საათზე. ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნ. 9 2—1

გულდაწყვეტილი უბედური დედა მარიამ პავლეს ასული მელაძისა და მისი შვილები დიმიტრი, მერი და ემმა მელაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ შვილის და დის

თამარ დიმიტრის ასულის ჩიქოვანის

ნ. 9 2—1

ბაზილინა პავლეს ასული და გიორგი ივანეს ძე ჯორჯიკია აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარ დისწულის

თამარ დიმიტრის ასულის ჩიქოვანის

ნ. 9 2—1

ეფროსინე ფილიპეს ასული იოსელიანისა, მისი შვილები დავით, ნიკოლოზ და ნინო იოსელიანი და რძალი სოფიო მამანტის ასული იოსელიანისა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას საყვარელი შვილიშვილის და დისწულის

თამარ დიმიტრის ასულის ჩიქოვანის

ნ. 9 2—1

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი და თანამშრომელნი აუწყებენ კავშირის წევრებს და საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 10 ს. გარდაიცვალა ხელოვნების სასახლის მებაღე—მეკარე

მოსე ბერიაშვილი

გამოსვენება დღეს ოქტომბრის 14-ს დილის 10 საათზე. დიდუბიდან ფოთის ქუჩა № 38. წაასვენებენ სოფ. დიღომში. 2363 1—1

პ რ ო ფ ე ს ო რ ი
უ ი ვ ო ტ ო ვ ს ა ი
აძლევს რუსულ და ქართულ
სტენოგრაფიის გაკვეთილებს
მეცადინეობა როგორც ცალკე, ისე ჯგუფობრივ, ყოველ-დღე დილის 10—12 საათამდე და საღამოს 2—5-დე. პლეხანოვის პრ. 72. 1—1 2371.

ხაშურის მოლარე **ლუკა ცხოვრებაძეს** ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში დღიდან გამოქვეყნებისა სამი დღის ვადით. თუ თქვენ ამაზე უარს იტყვით, მე ვიხდი ყოველივე პასუხისმგებლობას არტელის წინაშე.

2361 1—1. **ივანე გოგეშვილი.**

1924--25 წლის სეზონი

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

დასის შემადგენლობა (რიგი ანბანის მიხედვით)

ქალთა პერსონალი

ს ო პ რ ა ნ ო:

ბოგოლეპოვა ე. ლ. (მარინის თეატრის პრიმადონნა)
ლამბაშიძე ხ. გ.
პოპოვა ე. მ.
რაშელ-პოლიშჩუკ (კიევის ოპერის მომღერალი ქალი)
ხედენკო ნ. მ. (ოდესის ოპერის მსახიობი ქალი)

მეცო-სოპრანო

ბაბკინა ე. ნ.
ვოლჩენეცკაია ვ.
ტოვსტოლუჟსკაია ვ. (კიევის ოპერის მსახიობი ქალი)
თუმანოვა-მახარაძე ო. ლ.

მამაკაცთა პერსონალი

ტ ე ნ ო რ ე ბ ი:

კულაგინი (მარინის ოპერის მსახიობი)
კავსაძე გ. ლ.
მოსინი ა. გ. (აკადემიურ თეატრის პრემიერი)
სტრუკოვ-ბარატოვი ზ. (კიევის ოპერის მსახიობი)
სარაჯიშვილი ვ. (სახალხო მსახიობი)

ბ ა რ ი ტ ო ნ ე ბ ი:

ალექსაშინი კ. (სახაზინო ოპერის მსახიობი)
ვენაძე გ. ი.
ჟურავლიოვი ა. პ. (მოსკოვის თეატრების მსახიობი)
ქარცივაძე გ. ხ.

ბ ა ნ ე ბ ი:

დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ა. ი.
შარაშიძე ვ. (კიევის ოპერის მსახიობი).

2. დამახასიათებელი და პარტიები: **დობრჟანსკაია ვ. ნ., ნეიმანი ბ. ტ., იგონინი ვ. ი., კურპატოვი ა. ა., ლორთქიფანიძე ვ.**

დირიჟორები: სახალხო მსახიობი **ი. პ. ფალიაშვილი** და **ს. ა. სტოლერმანი.** რეჟისორ-ადმინისტრატორი ა. ა. გურესი. რეჟისორი კ. ი. პიჩხულოვი, კონცერტმეისტერები ე. დ. საბინ-გუსი, ჟანა-პალიაშვილი. ხორმეისტერი ა. პ. ბელსკი. სუფლიორი ნ. ნ. ნიკოლაევი. ბალეტმეისტერი **ს. ნ. სერგეევი.** პრიმა-ბალერინა ფეოდოროვა 1-ლი (მარინის ოპ. პრიმა-ბალერინა და მ. ლეონოვა

ორკესტრი--40 მსახიობი. გუნდი--40 მსახიობი

კონცერტმეისტრები: ბროდსკი ვ., სტუპელი ლ. (1-ლი სკრ.) ლოიკო ი. (1-ე სკრიპ.) კაპელნიცკი ე. (ვიოლონჩელი) მარუსალოვი მ. (კონტრაბასი), ორკესტრის სოლისტები: ლემბერგი მ. (ფლეიტა) გრომოვი ა. (გობოი), ტესლერი ა. (კლარნეტი), ნეიმანი მ. (ფაგოტი), ტურიგინი ვ. (ვოლგორნა) გარბუზოვი ბ. (ბუკი), გილდი პ. (ტრომბონი I) ბენდიცკი (ტრომბონი-ბანი), ილინ (ტიმპანი)

ბალეტი 14 მსახიობისაგან

სეზონის ახალი დადგმანი: ვაგნერი: ტრისტანი და იზოლდა, ტანგეიზერი, მეიერბერი—წინასწარმეტყველი. ალბერტ-ციფლიანტი (დაბლობი) იურანსკი—ტრილბი, პუჩინი. **კომუნიზმისათვის ბრძოლაში** დონიცეტი-ლიუჩია

განახლებული იქნება რეპერტუარი: აბესალომ და ეთერი, დაისი, აფრიკანკა, ბალ-მასკარადი, კამორრა, შოთა რუსთაველი, რუსლან და ლიუდმილა. ოქროს მამალი, ჰოფმანის ზღაპრები, ლოენგრინი, ქეთო და კოტე, ბორის გოდუნოვი, ოტელო, მაზეპა და სხვ.

სახელმწიფო ოპერის გამგე ს. ი. ევლახოვი.

სეზონის გახსნა 1924 წ. 16 ოქტომბერს
კ. მარჯანიშვილის ახალი დადგმით
აბესალომ და ეთერი

17 ოქტომბერს „აიდა"

ბილეთები იყიდება: ადგილების ფასი 40 კაპ.2 მან. და 90 კაპეიკამდე
კასა ღიაა დილის 11—3 საათამდე, საღამოს 6—10 საათამდე 1—1 ნ. 9.

საქართველოს სახელმწ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა
აცხადებს, რომ კვირას, ა. წ. 19 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ცენტრო-საწყობში (ელისაბედის ქ. № 138)
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
საჯარო ვაჭრობა, რომელითაც გაიყიდება ცხენები და ეტლები.
ნახვა შეიძლება საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. ნ. 12 2—1.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყოროღანოვის ქ. № 20.
№ 2095—25—20

ე ქ ი მ ი
ე. მ. მძინარიშვილი
რუსთველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან,
სიფილისი, ვენერიული ❊❊ ❊❊ და კანის სნეულებანი
მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.
ქვ. № 2046 25—24

ე ქ ი მ ი
ე. ი. პალანდაძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ საღამოს 5—7 საათამდე. ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფთ დილის 7—8 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.
25—12

ე ქ ი მ ი
ს. ა. გალუსტიანცი
შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე ◦◦◦ ტრიპერი, სიფილისი ◦◦◦
ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77, მეორე სახლი კირკის კუთხიდან.
25—13 ქ. № 2203.

ე ქ ი მ ი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72.
2005 25—24

ე ქ ი მ ი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 2100 25—20.

ე ქ ი მ ი
მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
ექიმობს მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას
ელექტრო-სინათლის სამკურნალო კაბინეტი
მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111, ბინა 2
ქვ. № 2052—25—23.

ე ქ ი მ ი
გ. გ. მებრაბიანი
შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. სალ. ებუთოვის ქუჩა № 23.
1562 13—10

დაკარგე თბილისის ხაზინიდან მიღებული 2 ქვითარი №№ 11251 და 542. ჩაითვალოს გაუქმებულათ სოტეფანე ხაჩატუროვი. 2364.

დაკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 668—53, მოცემული მეთერთმეტე უბნის მილიციის სამმართველოდან აღებ. 22 თებერ. 1924 წელს სიმონ ილიას-ძე ნამგალაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2365.

დაკარგე ქალაქის ლომბარდის ქვითარი № 2176. ჩაითვალოს გაუქმებულად. თამარა ტატიშვილისა.
2359.

დაკარგე ამხ. სერგო მეგრელიშვილის მიერ მოცემული ქვითარის წიგნაკი 25 ფურცელით № 65 საჯევახო-ჩოხატაურის გზის საალმშენებლო ფონდის გასაძლიერებლათ. ჩაითვალოს გაუქმებულათ. აფთონ კალანდაძე.
№ 2358.

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული მარტვილის თემის სამმართველოდან და აღრიცხვის ბარათი, მოცემული სენაკის მაზრის სამმართველოდან იაკობი თედორესძე ძარიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2366.

დაკარგე მატრიკული № 337 მოცემული თბილისის სახ უნივერსიტეტის მიერ, სამხედრო ბეგრის მოწმობა სვიმონ ქათამაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2367.

დაკარგე მოწმობა № 1,050, გაცემული ჩხარის რაიმილიციის უფროსის მიერ, სიღარიბის მოწმობა № 2,272, გაცემული შორაპნის სამ. აღმასკომის მიერ; სარეგისტრაციო ბარათი, მოცემული თბილისის გამწვევე კომისიის მიერ და პირადობის მოწმობა, გაცემული სახ უნივერსიტეტის მიერ ვარლამ რობაქიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2370.

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან და სამხედრო საარიცხვო ბარათი ალექსანდრე მოსეს-ძე კაკუშაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2368.

დაკარგე პირადობის მოწმობა ლონგინოზ გოგისვანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2369.

დაკარგე პირადობის წიგნაკი № 1419 № 86, მოცემული ქიათურის რაიაღმასკომის მიერ სერაფიონ ონისიმესძე ღლონტის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2373.

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 307, მოცემული სამტრედიის რაიაღმასკომის მიერ ვარლამ მალაქიასძე შენგელიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2372.

დაკარგე პირადი წიგნაკი გაცემული ახალქალაქის სამხედრო მაგიდის მიერ გიორგი გიორგისძე ბალატიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2374.

ტირაჟი 18.000

სტამბა „ზარია ვოსტოკას", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.